გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
პარასკევი, 20 მაისი, 2005 წელი.
№118 (5151)

იმისთანა წმინდა საქმეში, ტოგოტინე ბოჭიკუტი სიტყვაა, ტყუილებით და ჭიტებით ბუტთის გაცანა ყველა უკიდ-ბისობაზე უსამაგლესია.

საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

◎ საგანგებო სიტუაცია

ვინ ხელყოფს დედაუნივერსიტეტის დამოუკიდებლობას?

„საუნივერსიტეტო დარაჯის“ დამფუძნებელ შეკრებაზე. ლევან ლომაძის ფოტო.

ამ დღეებში რედაქციამ მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთი ჯგუფის წერილი-მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისადმი, რომელსაც ხელს აწერს ამ თითქმის ერთი საუკუნის სასწავლო-სამეცნიერო უმაღლეს დაწესებულებაში მიმდინარე რეფორმით გულშეღონებული ასზე მეტი ადამიანი, მათ შორის ისეთი სახელოვანი პროფესორები, როგორებიც არიან მზექალა შანიძე, მარიკა ლორთქიფანიძე, თინა ყიფშიძე, ვალერი ლორია, თენგიზ სანაძე, გივი ჯამბურია, გრიგერ ფარულავა, რევაზ სირაძე, რევაზ გახოკიძე, ოლეგ ნამიჩეიშვილი, თამაზ ვაშაყმაძე, მერაბ ჯიბლაძე, ბიჭიკო ცინცაძე, მარინე მელიქიშვილი და სხვ.

მიმართვაში ერომნიშვნელოვნად, ხაზგასმით ნათქვამია, რომ 2004 წლის 21 დეკემბრის „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის გარდამავალი დებულებანი (თავი XV) აწესებს საგანგებო მდგომარეობას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, ვინაიდან ამ კანონის ძალაში შესვლა (87-ე მუხლის თანახმად) იწვევს რექტორებისა და ფაკულტეტების დეკანების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, ხოლო გათავისუფლებული რექტორის უფლებამოსილებას საქართველოს პრეზიდენტი ნებისმიერ (!) პროფესორს ანიჭებს. დეკანებს კი ნიშნავს პრეზიდენტის მიერ დანიშნული რექტორი.

იხ. მე-2 გვ.

◎ რუბრიკის პრემიერა:

პოლიტიკური მიმოხვრის ენა

მეოცე საუკუნის ბოლოს წარმოიშვა მეცნიერ-სოციოლოგის ახალი ტიპი არავერბალურ სფეროში. როგორც ორნითოლოგი ტკბება ფრინველთა ქცევის ცქერით, ისე არავერბალი ტკბება ადამიანთა ჟესტებისა და პოზების ყურებით. ამ თემაზე პირველი წიგნი 1970 წელს გამოსცა იულიუს ფასტმა; 20-ოდე წლის შემდეგ ასეთივე წიგნი დასტამბა ალან პიზმა. თუმცა, დღემდე მოსახლეობის დიდ უმრავლესობას წარმოდგენაც არა აქვს მიმოხვრის ენის მნიშვნელობაზე საკუთარ ცხოვრებაში.

ჩვენ, ძირითადად, მაინც გავყვებით პოლიტიკური მიმოხვრის ენას, რადგან მას ძალზე ხშირად გადამწყვეტი სიტყვა ეთქმის თვით სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრების საიდუმლოებათა ჩაწვდომაში, მათი ნამდვილი აზრების ამოკითხვაში. ალბათ, ბევრს უნახავს, როცა ამა ქვეყნის ძლიერნი ლაპარაკობენ ერთს, თვალებით, ხელებითა და მხრებით კი აკეთებენ მეორეს.

„ჩვენ ენა იმიტომ გვაქვს, რომ ჩვენი აზრები დავფაროთ“. ეს გამოთქმა, უპირველესად, მიესადაგება სწორედ პოლიტიკოსთა საჯარო საქმიანობას, მათ თითოეულ გამოსვლას. თუ ჩვენ ზედმიწევნით გვეცოდინება მიმოხვრის ენა, აღარ გაგვიჭირდება ჭეშმარიტების დადგენა, სიტუაციის გაანალიზება. მაშ, ჩვენც შევაბიჯოთ ახალ სფეროში ჩვენივე შემეცნების გასაფართოებლად.

ყველაფერი ხუთიანზეა!

დავიწყოთ ერთობ ნაცნობი ჟესტით – მაღლა აწეული ცერა თითით. და აქ შემოგთავაზებთ ამერიკის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ფოტოს. ჯერ ერთი, – მას ეს ჟესტი ძალიან უყვარს, მეორეც, – ეს ჟესტი მან გამოიყენა საქართველოში ყოფნისასაც, როდესაც რესტორან „გორგასლიდან“ გამოსულმა ხელი მუცელზე გემრიელად მოისვა და ცერიც მაღლა სიამოვნებით აღმართა.

რას ნიშნავდა ეს? – ძირითადად, ამ ჟესტის ინტერპრეტაციებია: „ყველაფერი ხუთიანზეა“, „საქმეები შესანიშნავად მიდის“, „არავითარი პრობლემა არ არსებობს“, „მე ძალიან მომეწონა“, „უკეთესი აღარ შეიძლება“ და ა. შ.

მაგრამ ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში იგივე ჟესტი საავტომობილო მაგისტრალზე ნიშნავს – „გამვლელი მანქანის დაქირავების სურვილს“; საბერძნეთში, ნებისმიერ დებატებზე – „ხმის ჩაკმენდნების წადილს“; თვლის დროს, იტალიაში ცერა თითი ნიშნავს ერთს, ინგლისში კი – ხუთს. ასე რომ, მართლაც უნდა ვიცოდეთ თუ რას ნიშნავს ცერა თითის მაღლა აწევა ამა თუ იმ კონტინენტზე, ამა თუ იმ ქვეყანაში. უცოდინარობამ შეიძლება ჩვენ თავად ჩაგვაგდოს დიდ უხერხულობაში.

ისიც სათქმელია, რომ შემართულ ცერს ბევრი პოლიტიკოსი ძალაუფლებისა და უპირატესობის გამოსახატად ხმარობს. ჯორჯ ბუშისთვის ამ კუთხითაც ერთობ უპრიანია დღევანდელი ჟესტის გამოყენება.

სხვათა შორის, ძველი რომის ცირკში იმპერატორის მაღლა შემართული ცერი სიცოცხლეს ჩუქნიდა დამარცხებულ გლადიატორს, ძირს დაშვებული ცერი კი – სიკვდილის მომასწავებელი გახლდათ!

რუბრიკას უძღვება
გონდო გულიაშვილი.

◎ პრემიერ-მინისტრი

ზურაბ ნოღაიდელი ქვემო ქართლს ეწვია

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი გუშინ ქვემო ქართლის მხარეს ეწვია. მან რეგიონში ვიზიტი დაბა კაზრეთიდან დაიწყო.

ზურაბ ნოღაიდელმა „მაღნეულში“ კარიერები, „კვარციგში“ კი ოქროს საცავი და სპილენძის გადამამუშავებელი საამქრო დაათვალიერა.

ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, „კვარციგი“ და „მაღნეული“ ერთ საპრივატიზაციო პაკეტშია შეტანილი, რადგან, ამ შემთხვევაში საქართველოს მთავრობა ინვესტორებისგან უკეთეს წინადადებებს მიიღებს, ვიდრე მათი ცალ-ცალკე გაყიდვისას მიიღებდა. – პრივატიზაციის დასრულების შემდეგ ქვეყანა არა მარტო საბიუჯეტო შემოსავლებს მიიღებს, არამედ, „მაღნეულში“ დამატებითი ინვესტიციებიც ჩაიდება, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

ზურაბ ნოღაიდელმა დღეს თავი შეიკავა იმ ფირმების დასახელებისგან, რომლებმაც „მაღნეულის“ ყიდვის სურვილი უკვე გამოთქვეს.

პრემიერ-მინისტრმა დაბა კაზრეთიდან მარნეულში გადაინაცვლა, სადაც შპს „გეონიგრო“ დაათვალიერა. თურქი ბიზნესმენების მიერ დაარსებული საწარმო სამრეწველო დანიშნულების ფეიქტებად ნივთიერებებს აწარმოებს. საწარმოში 50 ადამიანია დასაქმებული, რომლებიც საკმაოდ მაღალ ხელფასს იღებენ.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ქვემო ქართლში მისი ვიზიტის მიზანი მსგავსი საწარმოების დათვალიერებაა, ვინაიდან სახელმწიფოს უპირველესი მიზანი სწორედ დასაქმების პრობლემების მოგვარებაა.

გუშინვე ზურაბ ნოღაიდელმა თეთრი წყაროს რაიონში მდებარე, მეფრინველეობის ფაბრიკა „კოდა“ დაათვალიერა. პრემიერ-მინისტრის ვიზიტი რუსთავში სს „ყაზბეგის“ ლუდის ქარხნის მონახულებით დასრულდა.

◎ ბაზები

ისევ რუსეთთან პირისპირ!

ნატოს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენელმა კავკასიაში და შუა აზიაში რობერტ სიმონსმა საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით ნატოს პოზიცია გაახმაურა. – ბაზების გაყვანის ვადებთან და პროცედურებთან დაკავშირებით რუსეთმა და საქართველომ უნდა მოილაპარაკონ, ეს ორი ქვეყნის ურთიერთობის საკითხია, თუმცა ნატო მიესალმება სტამბოლის ხელშეკრულების დროულად შესრულებას და იმედოვნებს, რომ ეს საკითხი საქართველოსთვის დადებითად გადაწყდება, – განაცხადა მოსკოვში ვიზიტად მყოფმა სიმონსმა გუშინ გაზეთ „იზვესტიას“ რედაქციაში გამართულ პრესკონფერენციაზე.

სიმონსს შეხვედრები ჰქონდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან. როგორც ნატოს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენელმა აღნიშნა, საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხი ამ შეხვედრებზეც წამოიჭრა და მან კიდევ ერთხელ დააფიქსირა ნატოს პოზიცია, რომელიც იმთავითვე მყარად იყო გამოთქმული და დღემდე არ შეცვლილა.

რაც შეეხება ნატოში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივას, როგორც სიმონსმა განაცხადა, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა აქვს საქართველოსთან, თუმცა ჯერჯერობით შესასრულებელია გაწევრიანების გეგმით გათვალისწინებული კონკრეტული პროგრამები და თუ ამის შემდეგ საქართველოს სწრაფვა ნატოში ინტეგრაციისკენ არ შეიცვლება, გაწევრიანების საკითხი დაიდგება დღის წესრიგში.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ვიქტორ ალქსნისი: რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანი ძალზე ამკარად ლობირებს საქართველოს ინტერესებს

„რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანი იგორ ივანოვი აქტიურად ახორციელებს საქართველოს ინტერესების ლობირებას“, – განაცხადა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საქმეებისა და თანამემამულეებთან კავშირურთიერთობის კომიტეტის წევრმა ვიქტორ ალქსნისმა (პარგია „როდინა“).

„როცა იგორ ივანოვი საგარეო საქმეთა მინისტრად მუშაობდა, იგი ცდილობდა არ მიეცა აქტიური მოქმედების საშუალება იმათთვის, ვინც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ჩვენი ჯარების გამოყვანის შესახებ სტამბოლის შეთანხმების ხელმოწერას. ივანოვმა დაარწმუნა ელცინი ამ შეთანხმების ხელმოწერის აუცილებლობაში. ყოველივე ამის შედეგად ჩვენ ახლა წარმოგვექმნა პრობლემა საქართველოში ბაზებთან დაკავშირებით. ამ მოვლენიდან ორიოდე წლის შემდეგ, თბილისში დაიწყო „ვარდების რევოლუცია“. იქ გაგზავნეს ბაგონი ივანოვი, რომელსაც მაშინ უკვე ეკავა უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტი, და მან მონაწილეობა მიიღო კანონიერად არჩეული პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის დამხობის მიზნით განხორციელებულ სახელმწიფო გადატრიალებაში. მე დიდი სიმპათიებით ათვეკიდები შევარდნაძეს, მაგრამ ჩემთვის უკეთესი იქნებოდა, რომ დღეს საქართველოს ხელმძღვანელობდეს იგი, რადგან ეს ადამიანი წარმაგებით განაგრძობდა საქართველოს დამლის პროცესს, ისევე, როგორც, მან თავის დროზე დაშალა საბჭოთა კავშირი. ამის ნაცვლად კი, უშიშროების საბჭოს მეთაურმა ხელისუფლების სათავეში სააკაშვილის მისვლას შეუწყო ხელი, და ახლა ჩვენ პრობლემები შეგვექმნა საქართველოსთან ურთიერთობაში. ამ მოვლენებიდან ნახევარი წლის გასვლის შემდეგ, იგივე უშიშრობის საბჭოს მდივანი აჭარაში ჩაფრინდა და დაამხო საქართველოს ერთადერთი ხელმძღვანელი – ასლან აბაშიძე, რომელიც რუსეთის მიმართ ლოიალურად იყო განწყობილი“.**

ყოველივე ამის შედეგად, – თქვა შემდეგ დეპუტატმა, ბათუმიდან აძევებენ ჩვენს სამხედრო ბაზებს. „მე მესმის, რომ მინისტრ ივანოვს ჰყავს ნათესავები საქართველოში, მაგრამ მაშინ რატომ არ ითხოვს იგი იქ მუშაობის დაწყებას, ეს ხომ ყველასთვის გასაგები იქნებოდა. მაგრამ ადამიანი, რომელიც რუსეთში სახელმწიფო სამსახურში დგას, არ შეიძლება ასე ამკარად ლობირებდეს უცხო სახელმწიფოს ინტერესებს! თანაც, ეს ლობირება უდიდეს ზიანს აყენებს ჩვენს ქვეყანას“. საქართველოს მიმართ რუსეთის მიერ განხორციელებული პოლიტიკის შეფასებისას, ვ. ალქსნისმა განაცხადა: „მუდმივი დათმობები. თუმცა, საქართველომ უკვე დაიწყო თავისი ულტიმატუმის განხორციელება, იქ გადაიყვანეს ჩვენი ბაზები გაყვანის რეჟიმზე, მაგრამ ამას მაინც არ მოჰყოლია მინისტრ ლავროვის მიერ დაპირებული მკაცრი ზომები. ამის ნაცვლად, რუსეთი ამცირებს თავისი ბაზების გაგანისთვის საჭირო ვადებს“. დეპუტატმა აღნიშნა, რომ ამჟამინდელ ვითარებაში, როცა „ჩიხში მოგვაქციეს და კუთხეში მოგვიმწყვდიეს, უკვე აღარ შეიძლება ასეთი პოლიტიკის წარმართვა“.

საინფორმაციო სააგენტო
REGNUM

იური ბალუევსკი: რუსეთის სამხედრო ბაზებიდან ტექნიკის ნაწილს სომხეთში გაიტანენ

რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს იური ბალუევსკის არ გამორიცხავს, რომ საქართველოში არსებული რუსეთის სამხედრო ბაზებიდან ქონებისა და შეიარაღების ნაწილი შეიძლება გაიგანონ სომხეთში.

„საქართველოდან სამხედრო ბაზებს, რა თქმა უნდა, გავიგანთ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. მაგრამ, არ არის გამორიცხული, რომ ქონებისა და სამხედრო ტექნიკის ნაწილი შეიძლება გავიგანოთ სომხეთშიც“, – განუცხადა ბალუევსკიმ ჟურნალისტებს მოსკოვში.

მისი აზრით, საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების ქონების ნაწილის გაგანა სომხეთის ტერიტორიაზე ბაზების გაგანისთვის თავდაპირველად დასახელებულ ვადას – 10-11 წელს, ოთხ წლამდე შეამცირებს.

„რია „ნოვოსტის“ საინფორმაციო სააგენტო, 19 მაისი.

МИНИСТЕРСТВО МЕЖДУНАРОДНОЙ ИНФОРМАЦИИ
НОВОСТИ

◎ სხვისი კარიკატურა

„არგუმენტი ი ფაქტი“

ინტერპანორამა

ამერიკის ქალაქ პიუსტონში შექმნილი ვითარება ძალზე მოგვაგონებს ცნობილი რეჟისორის ალფრედ ჰიჩკოკის ფილმში ასახულ კადრებს: დიდი შავი ჭილყვავები თავს ესხმიან ოლქის ადმინისტრაციის შენობის მახლობლად გამვლელებს, აწიწკნიან მათ თმებს, კორტნიან თავსა და ზურგში.

ერაყში მოკლეს სადამ ჰუსეინის საქმის მნიშვნელოვანი მოწმე. დაღუპული ჰუსეინ საფარ ალი იყო ერთადერთი ადამიანი, რომელიც 14 წლის წინათ გადარჩა ერაყის ქალაქ ელ-ლაგიფიის მიდამოებში, შიიგთა მასობრივი სიკვდილით დასჯის დროს. იგი უნდა გამოსულიყო მოწმედ ერაყის ყოფილი დიქტატორის მომავალ სასამართლო პროცესზე.

უკრაინის მთავრობის ყოფილ მეთაურს ვიქტორ იანუკოვიჩს მიაჩნია, რომ ამ ბოლო ხანებში თანამდებობიდან გათავისუფლებულ 18 ათას ყოფილ სახელმწიფო მოსამსახურეს სდევნიან მათი პოლიტიკური მრწამსის გამო. მანამდე ვიქტორ იუშჩენკო აღნიშნავდა, რომ ქვეყანაში მიმდინარეობს ხელმძღვანელი შემადგენლობების შეცვლა ჯანმრთელობის დაცვის, მედიცინის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უკრაინის უშიშროების სამსახურის ხაზით.

◎ საგანგებო სიტუაცია

ვინ ხელყოფს დედაუნივერსიტეტის დამოუკიდებლობას?

(პირველი გვერდიდან)

უნივერსიტეტის და ფაკულტეტების სამეცნიერო საბჭოების უფლებამოსილება შეჩერებულია და უნივერსიტეტის რექტორს და დეკანებს მინიჭებული აქვთ ყველა საგანმკარგულები უფლებამოსილება. არც მეტი არც ნაკლები, ყველაფერი ეს, ეგრეთ წოდებული საგანგებო მდგომარეობის დროს მისაღები წესებს უტოლდება, მაგრამ, ისიც დღესავით ნათელია, რომ ახალი „საგანმანათლებლო“ კანონის ეს დებულებანი საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, რადგანაც მსგავსი მმართველობის შემოღება დასაშვებია მხოლოდ **ომის, მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადაგრიალების, ეკოლოგიური კატასტროფების და ეპიდემიების დროს...** საბედნიეროდ, მსგავსი რამ დღეს საქართველოში არ ხდება. ამბებმაც ამ კანონის გარდამავალი დებულებანი და მასთან დაკავშირებით გამოცემული პრეზიდენტის ყველა აქტი საკონსტიტუციო სასამართლომ, სარჩელის პირველი წარდგენისთანავე უნდა გააუქმოს.

მიმართვაზე ხელისმომწერნი, – უნივერსიტეტის ძველი და ახალი თანამშრომლები, სტუდენტობა გულწრფელად ურჩევენ საქართველოს პრეზიდენტს, ბაგონ მიხეილ საკაშვილს უნივერსიტეტში გაატქმოს საპრეზიდენტო მმართველობა, აღადგინოს დემოკრატიული, ავტონომიური თვითმმართველობა, ძალაში დატოვოს ყველა სამეცნიერო საბჭო და კოლექტიურად გადაწყვიტოს უმაღლესი განათლების რეფორმირების საკითხები.

* * *

ბუმინ კი, დედაუნივერსიტეტში თანამშრომელთა ახალი გაერთიანების „საუნივერსიტეტო დარბაზის“ პირველი დამფუძნებელი შეკრება გაიმართა. აღრე მასმედიაში გამოცხადებული ოპოზიციური პაექრობის ნაცვლად, დარბაზის დამფუძნებლებმა თავიდანვე დამაჯერებლად განმარტეს, რომ ისინი მხარს უჭერენ „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის განხორციელებას... ოღონდ, მხოლოდ მისი სრულყოფის და კანონიერების ფარგლებში მოქცევის შემდეგ; მოითხოვენ, აგრეთვე, გარდამავალ პერიოდში უნივერსიტეტის მმართველობის ახალი ორგანოების ფორმირებამდე დიდი საუნივერსიტეტო საბჭოს ფუნქციონირების აღდგენას; ახალი საგანმანათლებლო პროგრამების მეთოდური უზრუნველყოფისთვის ხელის შეწყობას; ქართველოლოგიური მეცნიერების, როგორც უნივერსიტეტის შექმნის და არსებობის უმთავრესი ფუნქციის განვითარებისთვის მხარდაჭერას; საერთაშორისო ორგანიზაციებთან სწავლებისა და მეცნიერული კვლევის უახლეს მეთოდოლოგიურ გამოცდილებათა გაცვლის სფეროში თანამშრომლობის აუცილებლობას; უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის თანმიმდევრულ და უმტკივნეულო გადაყვანას ახალ საგანმანათლებლო სისტემაზე (შესაბამისი გარანტიების უზრუნველყოფით); საუნივერსიტეტო იდეისთვის მხარდაჭერას, მემკვიდრეობითობის ხელის შეწყობას, უნივერსიტეტისა და ნიერების სფეროში რეფორმის აუცილებლობას, ბოლონიის პროცესის დეკლარაციის (1999 წ.), აგრეთვე, ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის კონვენციის (1997 წ.) საგანმანათლებლო პრინციპებს, – ნათქვამია მიმართვაში, – მაგრამ, ჩვენი პროფესიული ეთიკა და კანონისადმი პატივისცემა გვავალდებულებს, გამოვიჩინოთ სამოქალაქო აქტიურობა უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების მიმართ. ამიტომაც, საჭიროდ მიგვაჩნია, – „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის გარდამავალი დებულებების სრულფასოვანი რეალიზაციის მიზნით მართვის ახალი ორგანოების ამოქმედებამდე განახლდეს უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს მუშაობა; საბჭოს სხდომაზე ოპერაციულად უნდა განვიხილოთ უნივერსიტეტის მართვის ოპტიმიზაციისა და რეფორმის კოორდინაციის საკითხები; ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სისტემური

სიტყვით გამოდის პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი.

დემოკრატიულ, დღა საზოგადოებაში ამ პრინციპების წინააღმდეგი, ერთი შეხედვით, არავინ არ უნდა იყოს, მაგრამ... უნივერსიტეტში კარგად გრძნობენ, რომ ახალი რექტორი და მისი გუნდი ერთპიროვნულად წყვეტენ ზოგადსაუნივერსიტეტო პრობლემებს და თანამშრომელთა დისკრედიტაციის გზას აღგანან. როგორც „საუნივერსიტეტო დარბაზის“ დამფუძნებელ სხდომაზე გულისტკივილით ითქვა, პროფესორის დაგვირთვა წელიწადში უნდა გახდეს 1680 საათი, მაშინ როცა დღეს არის 350 საათი. ეს იმას ნიშნავს, რომ დღევანდელი პროფესორ-მასწავლებლების მხოლოდ ერთი მეხუთედი ანუ 15-20 პროცენტი დარჩება უნივერსიტეტში, 75-80 პროცენტი კი, ასაკის და შესაძლებლობის მიუხედავად, სასწავლებელს მიღმა უმუშევარი რჩება!

ყველაზე სავიშვიშო და მიუღებელი ის გახლავთ, რომ დანიშნული რექტორი, დეკანები და კათედრის გამგეები ერთპიროვნულად, სამეცნიერო საბჭოებთან შეუთანხმებელად გადაწყვეტენ უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო და სოციალურ პრობლემებს!

ამიტომაც, „საუნივერსიტეტო დარბაზმა“ პირველსავე სხდომაზე მიიღო მიმართვა უნივერსიტეტის რექტორის ქალაქგარეთ რუსეთან ლორთქიფანიძისადმი:

– ვალიარებთ განათლებისა და მეცნიერების სფეროში ორგანიზაციის, სწავლების მეთოდებისა და პრინციპების საკითხი; პროფესორ-მასწავლებელთა და მეცნიერთანამშრომელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის, მათი დაგვირთვისა და ანაზღაურების პრობლემები.

მიმართვას ხელს აწერენ „საუნივერსიტეტო დარბაზის“ დამფუძნებლები, პროფესორები ავთანდილ არაბული, გიორგი გოგოლაშვილი, ბაურ ლომთათიძე, გიორგი მახარაძე, ომარ მუკანაანი, მარიან ცაცანაშვილი, თენგიზ ჭიჟიბრიშვილი.

* * *

რედაქციაში რამდენიმე დღის წინათ შემოსული, ასი უნივერსიტეტელის ხელმოწერით დამოწმებული და „საუნივერსიტეტო დარბაზის“ დამფუძნებლთა მიერ რექტორის სახელზე გაგზავნილი მიმართვის მთავარი მოთხოვნები ერთი და იგივეა, – დაუბრუნდეს უნივერსიტეტს საუკუნოვანი ავტონომია, კანონის ფარგლებში მოქცეს განათლების რეფორმა და... ქვეყნის პრეზიდენტმა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, უნივერსიტეტის რექტორმა ჯერ-ოვნად დაიცვან დედაუნივერსიტეტის თითოეული თანამშრომლის ღირსება.

წინააღმდეგ შემთხვევაში, მთელი უნივერსიტეტი წკიპზეა, – წინ გაფიცვები, მრავალათასიანი მიტინგები და... საკონსტიტუციო სასამართლოს დარბაზები მოჩანს...

ღმერთმა გვაშოროს!

სპარტაკ ძოწულია.

◎ სიტუაცია

ქართველი ახალგაზრდები ღვინით სადღეგრძელოებს სვამენ, რუსები კი... თოჯინას აჭყუმპალავებენ

რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების ბოლო დროს გახშირებულ შეხვედრებისა და წერილების მიღება-გაგზავნის მიუხედავად, საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანა კვლავ მოუგვარებელ საკითხად რჩება. როგორც გაირკვა, ბაზები ჩვენს ტერიტორიაზე კიდევ კარგა ხანს დარჩება.

ეს რომ ასე იქნებოდა, საზოგადოების დიდი ნაწილი თავიდანვე ამბობდა. თუმცა, 15 მაისის მოახლოებისთანავე მკაცრ კომენტარებს აკეთებდნენ საქართველოს პარლამენტარები. ისინი თამამად აცხადებდნენ, რომ თუ რუსული ბაზები ჩვენს ტერიტორიას 2008 წლის 1 იანვრამდე არ დატოვებენ, მაშინ, ქართული მხარე, მათ მიმართ პარლამენტის დადგენილებით გათვალისწინებულ სანქციებს აამოქმედებსო.

ამ დღეებში კატეგორიული იყო პარლამენტის თავმჯდომარეც, რამაც რუსეთი კიდევ უფრო ააქოთქოთა. მოგეხსენებათ, სხვებთან შედარებით ახალგაზრდები უფრო მალე ღიზიანდებიან და, ალბათ, ამიტომაც მოსკოვში, საქართველოს საელჩოსთან რუსეთის სათათბიროს ფრაქცია „როდინასა“ 10-კაციანმა ახალგაზრდულმა ფრთამ აქცია გამართა. აქციაზე მათ გასაბერი ავზი მიიტანეს, რაშიც ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარის თოჯინა ჩააგდეს და ქართული ღვინო ჩაასხეს. „როდინას“ წარმომადგენელთა განმარტებით, მათ იმის თქმა სურდათ, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე „ნინო ბურჯანაძე ჯერ-ჯერობით ღვინოში ბანაობს და უნდა გაფრთხილდეს, რომ მისი ანგარესული პოლიტიკის გამო ღვინო სისხლად არ იქცეს“.

აქციაზე სათათბიროს დეპუტატი, ფრაქცია „როდინას“ წევრი ანდრეი საველიევიც მივიდა. მისი განცხადებით, ქართული მხარე ანგარესულ პროვოკაციებს აწყობს და ისინი – საკაშვილი და ბურჯანაძე – ისევთვე მგრები არიან საქართველოსთვის, როგორც რუსეთის ეკონომიკური ჯგუფის მინისტრები კუდრინი და გრეფი რუსეთისთვის.

აქციის მონაწილეებმა წერილობითი განცხადებაც გაავრცელეს. მასში მიხეილ საკაშვილი და ნინო ბურჯანაძე აუგად მოიხსენიებიან. „ქართველი დეპუტატები უჭკუოები და კრეტინები არიან, რადგან ისინი ორ ხალხს შორის მგრობას აღვივებენ, ქართველი პოლიტიკოსები მთლიანად ამერიკის დაკვეთით მუშაობენ“, – ნათქვამია ამ განცხადებაში.

ცხადია, ახალგაზრდობა ანგარიშგასაწევი ძალაა, თუმცა როგორც ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, რუსეთი მარტო ეს ათი ახალგაზრდა არ არის. სხვა დონეზე კი საქართველოსადმი ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება არ შეინიშნება. ჩაგარებული აქციით შეურაცხყოფილი დარჩა ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი. ბურჯანაძის განცხადებით კი, ასეთი საქციელი პირველ რიგში რუსი ახალგაზრდებისთვის არის შეურაცხმყოფელი და არა მისთვის, მით უმეტეს, ქართველი საზოგადოებისთვის.

მოსკოვში გამართული აქციის სახელით საკაშვილი და ნინო ბურჯანაძე აუგად მოიხსენიებიან. „ქართველი დეპუტატები უჭკუოები და კრეტინები არიან, რადგან ისინი ორ ხალხს შორის მგრობას აღვივებენ, ქართველი პოლიტიკოსები მთლიანად ამერიკის დაკვეთით მუშაობენ“, – ნათქვამია ამ განცხადებაში.

ცხადია, ახალგაზრდობა ანგარიშგასაწევი ძალაა, თუმცა როგორც ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, რუსეთი მარტო ეს ათი ახალგაზრდა არ არის. სხვა დონეზე კი საქართველოსადმი ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება არ შეინიშნება. ჩაგარებული აქციით შეურაცხყოფილი დარჩა ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი. ბურჯანაძის განცხადებით კი, ასეთი საქციელი პირველ რიგში რუსი ახალგაზრდებისთვის არის შეურაცხმყოფელი და არა მისთვის, მით უმეტეს, ქართველი საზოგადოებისთვის.

მოსკოვში გამართული აქციის სახელით საკაშვილი და ნინო ბურჯანაძე აუგად მოიხსენიებიან. „ქართველი დეპუტატები უჭკუოები და კრეტინები არიან, რადგან ისინი ორ ხალხს შორის მგრობას აღვივებენ, ქართველი პოლიტიკოსები მთლიანად ამერიკის დაკვეთით მუშაობენ“, – ნათქვამია ამ განცხადებაში.

ცხადია, ახალგაზრდობა ანგარიშგასაწევი ძალაა, თუმცა როგორც ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, რუსეთი მარტო ეს ათი ახალგაზრდა არ არის. სხვა დონეზე კი საქართველოსადმი ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება არ შეინიშნება. ჩაგარებული აქციით შეურაცხყოფილი დარჩა ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი. ბურჯანაძის განცხადებით კი, ასეთი საქციელი პირველ რიგში რუსი ახალგაზრდებისთვის არის შეურაცხმყოფელი და არა მისთვის, მით უმეტეს, ქართველი საზოგადოებისთვის.

ლელა ხვადაგიანი.

◎ კანონმდებლები

რა გიდევს ჩანთაში – „ზოლოტო“ თუ „კირპიჩი“?

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომა საქართველო-აზერბაიჯანის საკონგროლო-გამშვებ პუნქტ წითელ-ხიდზე შექმნილი მდგომარეობის გარკვევით დაიწყო. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, ლალი ფაფიაშვილის თქმით, 15 მაისს წითელ ხიდზე თორმეტი საათის განმავლობაში გააჩერეს ავტობუსი, თანაც, მგზავრებს არ აუსხნეს რაგომ დააკავეს ამდენ ხანს.

ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომრემ ზურაბ ანთელიძემ ეს მარტივად, წითელ ხიდზე წესრიგის დამყარებით ახსნა. აღრე პრობლემა არ არსებობდა, რადგან ფულის გადახდის შემდეგ მგზავრებს ტვირთის შეუმოწმებლად აგარებდნენ, ახლა კი საჭირო პროცედურას გადიანო. ამასთან, მგზავრები ტვირთს პაგარა ფუთებად ანაწილებენ განაყაყების თავიდან ასაცილებლად (კანონის თანახმად, ბაჟს არ იხდიან იმ ტვირთისთვის, რომელიც წონით არ აღემატება 20 კილოგრამს, ღირებულებით კი – 300 ლარს). ეს კი დასათვალიერებლად მეტ დროს მოითხოვს. განაყაყებისთვის თავის არიდების მიზნით ხშირად ადამიანები თურმე რამდენჯერმე კვეთენ საზღვარს და ნაწილ-ნაწილ გადმოაქვთ ტვირთი. – გამგებარეთ, მხოლოდ ოცკილოგრამიანი ფუთა მომიქვს, – ასეთი წამოძახილი იშვიათი არ ყოფილა. მაგრამ საბაჟო დეპარტამენტი მხოლოდ წონას არ სჯერდება:

– კი, მაგრამ, რა დევს ამაში, „ზოლოგო“ თუ „კირპიჩი?“

სანამ ამას გაარკვევენ, დრო გადის.

ლალი ფაფიაშვილი ასეთ მოგად განმარტებას არ დასჯერდა – თუ თანამშრომლები არ გყოფნით, გაზარდეთ მათი რაოდენობა და ხალხს საათობით ნუ აღოდნებთო. ზურაბ ანთელიძის თქმით, თანამშრომლები საკმაოდ ჰყავთ, მაგრამ პრობლემა არის ის, რომ ხალხი შეეწებულად ცდილობს, შუადამისას გადმოკვეთოს საზღვარი. როცა ბევრი ავტობუსი გროვდება, მათი შემოწმებაც იწელება, მაგრამ ეს ხშირად არ ხდებაო. ერთი სიტყვით, საბაჟო დეპარტამენტი ყოველმხრივ იცავდა თავს. ისიც ითქვა, გვინახავს, ერთმა მგზავრმა როგორ ჩაირგყო თავში ქვა, რომ შემდეგ ეთქვა, მესაზღვრემ მცემაო.

– თუ ასე კარგად მუშაობთ, ამას წინათ რაგომ დაითხოვეს ამ პუნქტის მთელი შემადგენლობა?

– სანამ ვითარებას არ მოაწესრიგებთ, ვერ ვიტყვით, რომ კარგად მუშაობთ, – საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებს თავის მართლება წყალში ჩაუყარა პარლამენტარმა ნაზი არონიამ.

ლალი ფაფიაშვილი დაინტერესდა, რაგომ არ არის ამენებული რაიმე ნაგებობა, რომელსაც მგზავრები შეაფარებდნენ თავს, (ჯერ-ჯერობით მათ საჭირო პროცედურის დასრულებამდე ღია ცის ქვეშ უწევთ ლოდინი). ანთელიძემ დაარწმუნა დეპუტატები, რომ სამ თვეში ეს პრობლემა მოგვარდება.

მისგან განსხვავებით, პარლამენტართა შეკითხვები უპასუხოდ დატოვეს იმ პირებმა, რომლებიც სხვა საკითხებთან დაკავშირებით იყვნენ მიწვეული. სანამ რამეს დავაზუსტებდე, აღვნიშნავ, რომ პარლამენტმა შეიმუშავა კანონპროექტი სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ – თუ საგზაო შემოხვევა გამოწვეული იყო ქვეითად მოსიარულის მიერ მოძრაობის წესების დარღვევით, მძღოლი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება. აღამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი ამ კანონპროექტს მხარს უჭერს, თუმცა ჯერ სხვადასხვა შემთხვევის ვანხილავა საჭირო. გამოთქვა მოსაზრება, რომ საჭიროა, კანონპროექტს დაემაგოს ერთი წინადადება – „იმ შემთხვევაში, თუ მძღოლს არ შეეძლო, თავიდან აეცილებინა საგზაო შემთხვევა“. თუმცა, გაჩნდა ეჭვიც, რომ ამის დადგენა რთული იქნება.

ლალი ფაფიაშვილმა მერიის წარმომადგენლისგან მოითხოვა ინფორმაცია, – კეთდება თუ არა რამე მიწისქვეშა გადასასვლელების მოსაწესრიგებლად (რაკი უსაფრთხოების თუ სხვა მიზეზების გამო ფეხით მოსიარულენი იქ ვერ ჩადიან, გზაზე უწევთ გადასვლა). ყველას გასაკვირად, მერიიდან მოსული აღმოჩნდა არა კეთილმოწყობის, არამედ იურიდიული სამსახურის უფროსი. ცხადია, ის ამ სფეროში კომპეტენტური არ იყო და სხდომა დაგოვა. კომიტეტი მერიის შესაბამისი სამსახურისგან საჭირო ინფორმაციის მოწოდებას ორშაბათს ელის.

დასმულ შეკითხვებს პასუხი ვერც ეკონომიკური პროკურატურის წარმომადგენელმა ანმარ ხვადაგიანმა გასცა. აღამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომის კულმინაციური წერტილი ე. წ. „ცრუ მოწმეების“ საკითხის განხილვა უნდა ყოფილიყო. როგორც სასაცილოც უნდა იყოს, პროკურატურას თურმე არ მოეპოვება ინფორმაცია ცრუ მოწმეთა შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ასე თქვა ანმარ ხვადაგიანმა. აღამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა პროკურატურას ორი კვირა მისცა საკითხის შესასწავლად. ამაში მას სახალხო დამცველის აპარატიც დაეხმარება თავისი ინფორმაციის გადაცემით, რაც ცრუმოწმეობის 70 ფაქტს მოიცავს.

რუსუდან გახარია.

◎ ჟორი თუ სინამდვილე?

კოტე გაბაშვილს მინისტრობა არ უნდა

„ამ თემაზე ლაპარაკი ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს!“ – პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი კატეგორიულად აცხადებს, რომ მას საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა არ აინტერესებს.

მის მიმართ გამოთქმული ეს ეჭვი ახლახან ტელეკომპანია „მზეზე“, ახალი ამბების გასვლისას გახმიანდა.

საგარეო კომიტეტის მესვეური ფიქრობს, რომ ამ ბრალდების მომგონმა „ეადაწყვეტა საჯაროდ გაეყიდა თავისი უნიჭო მასალა. ეს არის პროვინციალიზმი. თუ ჭერონაათ, რომ ამქვეყნად ყველაზე დიდი ოცნება მინისტრობაა, ძალზე ცდებიან. მე, რომელმაც ცხოვრებაში უკვე ყველაფერი გამოვცადე, საერთოდ არ მაინტერესებს ეს თანამდებობა. მეცინება და არც მინდა, რომ მნიშვნელობა მივანიჭო ამ უნიჭობასა და პროფინციალიზმს...“

კოტე გაბაშვილს არ უკვირს არც მინისტრობა და არც ქალაქის მერობა, ელჩადაც უმუშავია და „ათი წელიწადი მსოფლიო პოლიტიკაშიც ყოფილა. ამყამად პარლამენტიდან საქართველოს საგარეო პოლიტიკას წარმართავს და მისთვის მეტი პატივი და მეტი სახელი სანაგრელი აღარ არის“.

გაბაშვილი სერიოზულად არ აღიქვამს ამ მოარულ ხმებს, არც ტელეკომპანია „მზის“ ყველა რედაქციის მიმართ აქვს პრეტენზია, პირიქით – მათთან სიამოვნებით თანამშრომლობს. მაგრამ მისი თქმით, ის, რაც ახალი ამბების პროგრამით გადაიცა, „ერთი ან შესაძლოა ორი აღამიანის გაკეთებულია“.

„მომკალით, თუ გინდათ, ნამდვილად ვიცი, რომ მინისტრობა არ უნდა!“ – ხელები გაშალა უმრავლესობის ლიდერმა მაია ნადირაძემ, როცა მასაც ვკითხე ეს ხმა ჭორაა თუ სინამდვილე-მეთქი.

მაგრამ აგორებულ ჭორს ასე იოლად ვინ შეაჩერებს?

შამშე თამარაშვილი.

◎ ინფორმაცია

რაც მოიგონ, არამის გაუქონ!

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აფხაზეთში ბელორუსიის სამთავრობო დელეგაციის ვიზიტს გამოეხმაურა.

როგორც ნინო ბურჯანაძემ გუშინ პლენარულ სხდომაზე განაცხადა, თვითგამოცხადებული აფხაზეთის მასმედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმად, გასულ კვირას აფხაზეთში არაოფიციალურ ვიზიტად ბელორუსიის 70-კაციანი სახელმწიფო დელეგაცია იმყოფებოდა. დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში ბელორუსიის მთავრობის და პრეზიდენტის აპპინისტრაციის წარმომადგენლები შედიოდნენ, პარლამენტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობდა. ვიზიტის მიზნად აფხაზეთსა და ბელორუსიას შორის ურთიერთობების გაღრმავება სახელდება.

– სამწუხაროა, რომ ბელორუსიამ სწრაფად აიგაცა ზოგიერთი ჩვენი მეზობლის მაგალითი. მსგავს სვლას დემოკრატიისა და თავისუფლების წინააღმდეგ არც ერთი ქვეყნის ლიდერისთვის სიკეთე არ მოუგანია და არც ბელორუსიის ხელმძღვანელობას მოუგანს, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ამავდრულად, მისი თქმით, „მიუხედავად ბელორუსიის ხელისუფლების წარმომადგენლების მსგავსი ქმედებებისა, საქართველოს და ქართველ ხალხს ბელორუსი ხალხის მხრიდან უდიდესი მხარდაჭერა აქვს“.

აფხაზეთის რუსები ისაკუთრებენ

პრემიერს მხარდაჭერით რუსეთის კომერციული სტრუქტურების მიერ აფხაზეთის ეკონომიკური ექსპანსია საქართველოსთვის საშიშ მასშტაბებს იძენს. როსგოვის ოლქში მოქმედმა რუსულმა კომერციულმა სტრუქტურამ მდინარე ფსოუდან გაგრამდე აფხაზეთის სანაპირო ზოლი 99 წლით დაისაკუთრა.

სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, რუსული კომერციული სტრუქტურისთვის სანაპირო ზოლის საიჯარო ხელშეკრულებით გაცემამ ლომის წილი აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრემიერენტ რაულ ხაჯიმბას მიუძღვის.

იმავე წყაროს მტკიცებით, აფხაზეთის სანაპირო ზოლის მნიშვნელოვანი ნაწილის იჯარით გაცემა რაულ ხაჯიმბას როსგოვის გუბერნატორმა ელადიმერ ჩუბმა სთხოვა და სანაპირო ზოლს სწორედ ჩუბთან დაახლოებული კომერციული სტრუქტურები დაეპატრონენ.

„ინტერ-პრესის“ დამუსტებული ინფორმაციით, გუბერნატორ ჩუბთან დაახლოებულმა კომერციულმა სტრუქტურებმა თავისი საქმიანობა მდინარე ფსოუს საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან არსებული სავაჭრო ჯიხურებისა და მაღაზიების აღებით და იქ თანამედროვე ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობით დაიწყეს.

სარწმუნო წყაროს მტკიცებით, სოხუმის ხელისუფლება აფხაზეთში კომერციული საქმიანობის დაწყების მსურველთა მიღება-გაცილებას ვერ აუდის. სამოგალდების პროგესების მიუხედავად, ხელისუფლება აფხაზეთის ქონების გასხვისების პროცესს სულ უფრო დიდი მასშტაბებით ახორციელებს.

წყალწყალებულებს, ალბათ, ეშველებათ

საქართველოს მთავრობამ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ საჭირო ხარჯების მოცულობა 20 მილიონი ლარით გაზარდა. მარალის ლიკვიდაციისთვის ბიუჯეტიდან 40 მილიონი ლარი დაიხარჯება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ პარლამეტს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების კორექტირებული პროექტი წარუდგინა. პირველადელ ვარიანტთან შედარებით, კორექტირებულ პროექტში წყალდიდობის შედეგად წარმოქმნილი მარალის ლიკვიდაციისთვის ხარჯები გაორმაგებულია.

კორექტირებული პროექტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 86 858.0 ათასი ლარით გაიზრდება და 2 მილიარდ 799 მილიონ 073 ათასი ლარით განისაზღვრება. ქვეყანაში მომხდარი სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოების დასაფინანსებლად 40 მილიონი ლარი დაიხარჯება.

როგორც ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, ქვეყნისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტად კვლავაც რჩება თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება და მისი ნაგოს სტანდარტებად შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით 46 858 ათასი ლარი მოხმარდება.

ინტერ-პრესი.

◎ სიტუაცია

ქართველი ახალგაზრდები ღვინით სადღეგრძელოებს სვამენ, რუსები კი... თოჯინას აჭყუმპალავებენ

რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების ბოლო დროს გახშირებულ შეხვედრებისა და წერილების მიღება-გაგზავნის მიუხედავად, საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანა კვლავ მოუგვარებელ საკითხად რჩება. როგორც გაირკვა, ბაზები ჩვენს ტერიტორიაზე კიდევ კარგა ხანს დარჩება.

ეს რომ ასე იქნებოდა, საზოგადოების დიდი ნაწილი თავიდანვე ამბობდა. თუმცა, 15 მაისის მოახლოებისთანავე მკაცრ კომენტარებს აკეთებდნენ საქართველოს პარლამენტარები. ისინი თამამად აცხადებდნენ, რომ თუ რუსული ბაზები ჩვენს ტერიტორიას 2008 წლის 1 იანვრამდე არ დატოვებენ, მაშინ, ქართული მხარე, მათ მიმართ პარლამენტის დადგენილებით გათვალისწინებულ სანქციებს აამოქმედებსო.

ამ დღეებში კატეგორიული იყო პარლამენტის თავმჯდომარეც, რამაც რუსეთი კიდევ უფრო ააქოთქოთა. მოგეხსენებათ, სხვებთან შედარებით ახალგაზრდები უფრო მალე ღიზიანდებიან და, ალბათ, ამიტომაც მოსკოვში, საქართველოს საელჩოსთან რუსეთის სათათბიროს ფრაქცია „როდინასა“ 10-კაციანმა ახალგაზრდულმა ფრთამ აქცია გამართა. აქციაზე მათ გასაბერი ავზი მიიტანეს, რაშიც ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარის თოჯინა ჩააგდეს და ქართული ღვინო ჩაასხეს. „როდინას“ წარმომადგენელთა განმარტებით, მათ იმის თქმა სურდათ, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე „ნინო ბურჯანაძე ჯერ-ჯერობით ღვინოში ბანაობს და უნდა გაფრთხილდეს, რომ მისი ანგარესული პოლიტიკის გამო ღვინო სისხლად არ იქცეს“.

აქციაზე სათათბიროს დეპუტატი, ფრაქცია „როდინას“ წევრი ანდრეი საველიევიც მივიდა. მისი განცხადებით, ქართული მხარე ანგარესულ პროვოკაციებს აწყობს და ისინი – საკაშვილი და ბურჯანაძე – ისევთვე მგრები არიან საქართველოსთვის, როგორც რუსეთის ეკონომიკური ჯგუფის მინისტრები კუდრინი და გრეფი რუსეთისთვის.

აქციის მონაწილეებმა წერილობითი განცხადებაც გაავრცელეს. მასში მიხეილ საკაშვილი და ნინო ბურჯანაძე აუგად მოიხსენიებიან. „ქართველი დეპუტატები უჭკუოები და კრეტინები არიან, რადგან ისინი ორ ხალხს შორის მგრობას აღვივებენ, ქართველი პოლიტიკოსები მთლიანად ამერიკის დაკვეთით მუშაობენ“, – ნათქვამია ამ განცხადებაში.

ცხადია, ახალგაზრდობა ანგარიშგასაწევი ძალაა, თუმცა როგორც ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, რუსეთი მარტო ეს ათი ახალგაზრდა არ არის. სხვა დონეზე კი საქართველოსადმი ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება არ შეინიშნება. ჩაგარებული აქციით შეურაცხყოფილი დარჩა ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი. ბურჯანაძის განცხადებით კი, ასეთი საქციელი პირველ რიგში რუსი ახალგაზრდებისთვის არის შეურაცხმყოფელი და არა მისთვის, მით უმეტეს, ქართველი საზოგადოებისთვის.

მოსკოვში გამართული აქციის სახელით საკაშვილი და ნინო ბურჯანაძე აუგად მოიხსენიებიან. „ქართველი დეპუტატები უჭკუოები და კრეტინები არიან, რადგან ისინი ორ ხალხს შორის მგრობას აღვივებენ, ქართველი პოლიტიკოსები მთლიანად ამერიკის დაკვეთით მუშაობენ“, – ნათქვამია ამ განცხადებაში.

ცხადია, ახალგაზრდობა ანგარიშგასაწევი ძალაა, თუმცა როგორც ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, რუსეთი მარტო ეს ათი ახალგაზრდა არ არის. სხვა დონეზე კი საქართველოსადმი ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება არ შეინიშნება. ჩაგარებული აქციით შეურაცხყოფილი დარჩა ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი. ბურჯანაძის განცხადებით კი, ასეთი საქციელი პირველ რიგში რუსი ახალგაზრდებისთვის არის შეურაცხმყოფელი და არა მისთვის, მით უმეტეს, ქართველი საზოგადოებისთვის.

გარეშე თვალით

მიხეილ ლერნტიევი, საგელევიზიო პროგრამის „ოდნაკოს“ წამყვანი: ანდიჟანის ბუნება, როგორც ყოველთვის, ბარელან იყო ინსპირირებული. და ეს გააკეთა მე-5 ინტერნაციონალმა, რომელიც ვაშინგტონშია მოკალათებული, და რომლის მთავარი კომისარია ბუში. რისთვის ჭირდება ბუშს უმბეკეთი? იგი ხომ ცდილობს მიითვისოს ყოველივე ის, რაც ადელი ასაღებია. რა თქმა უნდა, ამ ამბოხებაში თავისი საქმე შეასრულა ისლამისტურმა „თალიბანმაც“. ეს გამოსვლები სასგიკად ჩაახშეს, მაგრამ სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი. ფერღანის ველში ცხოვრობს შუა აზიის ყოველი მეხუთე მცხოვრები. იქ საშინელი სიღარიბეა, ხალხი ძალზე მჭიდროდაა დასახლებული, სუფევს უმუშევრობა. ეს ნამდვილი ღენთის კასრია. იმ ადგილებისთვის არასდროს არ ყოფილა უცხო ხოცვა-ჟლეტა და აჯანყებები. ბასმაჩოა მოძრაობაც იქ ჩაისახა. ამიტომ, როცა ქარიმოვი ტექნიკურად უსწორდება მეამბოხეებს, ამით იგი უბრალოდ ცდილობს იმათ დაშინებასაც, ვინც შემდგომშიც მოისურვებს ღენთის კასრისთვის ცეცხლის წაკიდებას. რაც მალე აღკვეთენ ამ ხოცვა-ჟლეტას, მით ნაკლები იქნება მსხვერპლი. დიახ, ქარიმოვის რეჟიმი კორუმპირებული და სასგიკია. მაგრამ მის მიერ ანდიჟანის ამბოხების ჩახშობა დიდი ჰუმანურობაა. წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ აფეთქებების ტალღა მოედებოდა მთელს უმბეკეთს, მეზობელ ტაჯიკეთს და ყაზახეთს. რუსეთს შეუძლია დ

№ 118. პარასკევი, 20 მაისი, 2005 წელი.

◎ საგადასახადო სამსახური

როგორ უნდა იყოს საქმე კანონმდებლობის შესაბამისად და როგორია რეალური მდგომარეობა?

ასრულებენ კი თავიანთ მოვალეობას საკონტროლო სალარო-აპარატები?



სავაჭრო და მომსახურების სფეროებში აღრიცხვიანობის მონესრიგება საგადასახადო სისტემის გამართული მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რომელიც, უწინარესად, ბიუჯეტის შევსებას უწყობს ხელს. აღრიცხვიანობის მონესრიგება საკმაოდ სერიოზული ბარიერია სხვადასხვა სახეობის კორუფციული გარიგებებისთვის, რაც მნიშვნელოვან ანტიკორუფციულ ღონისძიებად უნდა მივიჩნიოთ. ამიტომაც მივმართეთ შეკითხვებით ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ზაზა ძოწულაშვილს.

— ბატონო ზაზა, კანონი ვის აკისრებს პასუხისმგებლობას სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში საკონტროლო სალარო-აპარატების დაყენებასა და გამართულ მუშაობაზე?

— ამის გაკონტროლება, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სავაჭრო ოპერაციების მწარმოებლისა და მომსახურების გამწევ პირებს ევალებათ. მათ ასევე დაკისრებული აქვთ კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობა საკონტროლო სალარო-აპარატების დანერგვისა და გამოყენების წესების დარღვევის შემთხვევაში.

— რა მოთხოვნებია ამ მხრივ კანონმდებლობაში, კერძოდ, რომელი სავაჭრო ცენტრები და მომსახურების ობიექტები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი საკონტროლო სალარო-აპარატებით, რა ვალებში, ვისი სახსრებით ხდება მათი შეძენა, რა პერიოდულობით ხორცელდება მუშაობის მონიტორინგი?

— საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებელთან სავაჭრო ოპერაციების წარმოებისა და მომსახურებისას ფულადი ანგარიშსწორების განხორციელების დროს საკონტროლო სალარო-აპარატების დანერგვისა და გამოყენების წესები განსაზღვრულია „მომხმარებელთა ფულადი ანგარიშსწორების განხორციელებისას საკონტროლო სალარო-აპარატების გამოყენების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის მიზანია სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი პირების მიერ სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვიანობის მოწესრიგება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა. აღნიშნული კანონის შესაბამისად, საკონტროლო სალარო-აპარატების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა ევალებათ პირებს, რომლებიც სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებენ და მომსახურებას ეწევიან.

— კონკრეტულად რაში გამოიხატება საგადასახადო დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურის ფუნქცია, რომელიც სავაჭრო ობიექტებსა და მომსახურების ცენტრებში საკონტროლო სალარო-აპარატების მუშაობის მონიტორინგს აწარმოებს? ზემოქმედების რა ბერკეტები აქვს მას, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა სანქციების გატარება შეუძლია კანონდამრღვევთა მიმართ?

— საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, საგადასახადო ორგანოებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოსახლეობასთან ფულადი ანგარიშსწორებისთვის ევალებათ საკონტროლო სალარო-აპარატების სახელმწიფო რეესტრის შექმნა და რეგისტრაცია, აგრეთვე მათი გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლი.

საკონტროლო სალარო-აპარატების სახელმწიფო რეესტრს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 16 სექტემბრის № 605 ბრძანების თანახმად, საგადასახადო დეპარტამენტი აწარმოებს. გადასახადის გადამხდელთა მიერ სალარო-აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე შედამხედველობას კი საგადასახადო ინსპექციები თავიანთი სამოქმედო ტერიტორიების ფარგლებში თავად ახორციელებენ.

რაც შეეხება მოსახლეობასთან ფულადი ანგარიშსწორებისას საკონტროლო სალარო-აპარატების გარეშე მუშაობას, ანდა მათ გამოუყენებლობას, თუკი ასეთი ვალდებულება საქართველოს კანონმდებლობითაა დადგენილი, ასეთ შემთხვევაში, საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის შესაბამისად, გათვალისწინებულია 500-ლარიანი ჯარიმა.

— მაგრამ რამდენად არიან აღჭურვილნი საკონტროლო სალარო-აპარატებით სავაჭრო ობიექტები და მომსახურების ცენტრები როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში?

— საგადასახადო დეპარტამენტში საოლქო საგადასახადო ინსპექციებიდან მოწოდებული ინფორმაციით, მთლიანად ქვეყნის ტერიტორიაზე 15758 საკონტროლო სალარო-აპარატია რეგისტრირებული. მათ შორის, თბილისის საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებულია 10312 აპარატი, ბათუმში (სამოქმედო ტერიტორია – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა) – 701; თელავში (კახეთის მხარე) – 692; ქუთაისში (იმერეთის რეგიონი, რაჭა-ლეჩხუმი) – 1273; ფოთში (სამეგრელოსა და გურიის მხარეები, ზემო სვანეთი) – 315; გორში (შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მხარეები) – 961; რუსთავში (ქვემო ქართლის მხარე) – 1055; ახალციხეში (სამცხე-ჯავახეთის მხარე) – 499.

— რა მდგომარეობაა საკონტროლო სალარო-აპარატებით ბაზრობებზე მოვაჭრეთა აღჭურვის თვალსაზრისით და რა ღონისძიებების განხორციელებას აპირებს საგადასახადო დეპარტამენტის შესაბამისი სამსახური ამ „თეთრი ლაქის“ „გასაფერადებლად“?

— საგადასახადო ინსპექციები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულნი არიან, გააკონტროლონ აპარატების გამოყენების წესების დაცვა მათ სამოქმედო ტერიტორიებზე, მათ შორის, ცხადია, ბაზრობებზეც.

— როგორია საკონტროლო სალარო-აპარატების მუშაობის მაკონტროლებელი სამსახურის ურთიერთობა ფინანსურ პოლიციასთან?

— საგადასახადო ორგანოები საგადასახადო სამართალდარღვევათა აღმოსაფხვრელად ინტენსიურად უნდა თანამშრომლობდნენ ფინანსურ პოლიციასთან.

— რა ანტიკორუფციულ ღონისძიებებს ახორციელებთ საკონტროლო სალარო-აპარატების მუშაობის მონიტორინგის ჩატარებისას?

— საკონტროლო სალარო-აპარატების მოდელების სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და რეგისტრაციის პროცესს, აგრეთვე საგადასახადო ორგანოების მუშაობის ანალიზს აღნიშნული აპარატების გამოყენების წესებ-ზე, ბაზრობებზეც, დეპარტამენტის იურიდიულ საკითხთა და საჩივრების განხილვის სამმართველო ახორციელებს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ 2004 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული საკონტროლო სალარო-აპარატებით აღჭურვას დაქვემდებარებული ობიექტების რიცხვი 7023 ერთეულით გაიზარდა, ხოლო თავად აპარატები დაიდგა (წლეულს აპრილის მიწურულის მონაცემებით) 6288 ობიექტზე.

წლის განმავლობაში საგადასახადო ორგანოების თანამშრომელთა მიერ საკონტროლო სალარო-აპარატების დადგმისა და გამოყენების წესების დარღვევისთვის საჯარიმო სანქციები გაგარდა 1899 ობიექტის მიმართ.

— საკმარისი ძალები გაგაჩნიათ საკონტროლო სალარო-აპარატებით სავაჭრო ობიექტების აღჭურვისა და მათი მონიტორინგის განსახორციელებლად, თუ, თქვენი აზრით, საჭიროა შემმოწმებელთა რიცხვის გაზრდა?

— საგადასახადო ინსპექციებს მიცემული აქვთ მითითებები, გაკონტროლონ აპარატების გამოყენების წესების დაცვა, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილი წესით სრულად აღრიცხონ გადასახადის გადამხდელების ამონაგები თანხები.

ოთარ ტურაგელიძე.

◎ ინფორმაცია

აფხაზეთის მოსკოვის სპეცსამსახურები აკონტროლებენ

ერთვნულ უმცირესობათა ევროპული ცენტრის სგამბოლის ბიუროს თანამშრომლის, თურქი ჟურნალისტის ბურჯუ გულტეკინის შეფასებით, „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობა ფიქციაა და იქ ყველაფერს რუსეთის სპეცსამსახურები აკონტროლებენ“.

როგორც ბურჯუ გულკეტინმა გუშინ „ინტერ-პრესს“ აფხაზეთში არსებული პოლიტიკური ვითარების შეფასებისას განუცხადა, „აფხაზეთზე მოსკოვის სპეცსამსახურების კონტროლში“ იგი მას შემდეგ დარწმუნდა, რაც ე.წ. აფხაზურმა სპეცსამსახურებმა გაეროს მისიის კუთვნილი მანქანით სოხუმში მიმავალი გულკეტინი გალში გააჩერეს და ენგურის ხიდით ზუგდიდში მას შემდეგ დაბრუნეს, რაც მისი სოხუმში ჩასვლა „ვერც პრეზიდენტმა ბაღაფშმა და ვერც საგარეო საქმეთა მინისტრმა შამბამ ვერ უზრუნველყვეს“.

გულკეტინი აფხაზეთში სოხუმში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციის „აფხაზ მეწარმე ქალთა კავშირის“ თავმჯდომარის იულია გუმბას მიწვევით მიემგზავრებოდა. მისი ვიზიტი შეთანხმებული იყო როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, ასევე აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ყველა უწყებასთან, მათ შორის – პრეზიდენტ ბაღაფშთან და საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბასთან.

გულკეტინის თქმით, მას შემდეგ, რაც აფხაზურმა სპეცსამსახურებმა იგი გალში გააჩერეს და სოხუმისკენ გზის გაგრძელების საშუალება არ მისცეს, იგი იძულებული გახდა, დაკავშირებოდა მის მიმწვევ იულია გუმბას, რომლის და – მარინა გუმბა გავლენიანი პოლიტიკური მოძრაობის „ამცახარას“ პოლიტსაბჭოს წევრი და სერგეი ბაღაფშის თანამებრძოლია.

ფოთში ნავთობტერმინალის შუშები გაიფიცნენ

გუშინ დილით ფოთის პორტის ადმინისტრაციის შენობასთან ნავსადგურის ნავთობტერმინალის მუშები გაიფიცნენ. აქციის მონაწილეები სამსახურიდან მოსალოდნელ გთავისუფლებას აპროტესტებენ.

მათი განცხადებით, მიუხედავად ერთწლიანი ხელშეკრულებისა, პორტის ადმინისტრაციამ მათთან ახალი ხელშეკრულება გააფორმა, რომელიც მათ შრომის ბირჟაზე გადაყვანას ითვალისწინებს. ნავთობტერმინალის მუშები აცხადებენ, რომ ეს ფაქტობრივად მათ გთავისუფლებას ნიშნავს.

პორტის უფროსი ამჟამად თბილისში იმყოფება. ნავსადგურის ადმინისტრაციის მხრიდან აქციას არავინ გამოსმაურებია, ნავთობტერმინალის უფროსმა თენგიზ აბურჯანიამ კი კომენტარზეც უარი განაცხადა.

აქცია დაიშალა. მუშები მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში პორტის პარალიზებით იმუქრებიან.

ჩვენგან გაქცეული რუსეთში დააკავეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ძებნის სამმართველოს თანამშრომლების მიერ მიწოდებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე რუსეთის ფედერაციის ქალაქ უსურიისკის შს განყოფილების თანამშრომლებმა თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გაქცევისთვის ძებნილი ნოდარ მოდებაძე დააკავეს.

მოდებაძე 1993 წელს ლაგოდეხის შს განყოფილების დროებითი დაკავების საკანიდან გაიქცა.

ხიბაო-პრესსი.

◎ ფიქრები

18 ათასი დოლარი „გლუკოზასთვის“...

და ეს მაშინ, როდესაც ჩვენ ირგვლივ ამდენი გაჭირვებულია

„ადამიანი და ნამეტნავად ერი არა მარტო „პურითა ერთითა ცოცხალ არს“. მართალია, მშიერი დიდ მანძილს ვერ გაივლის ამ მაძღლისა და ბოროგის ჭიდილის გზაზე, მაგრამ უმაღლოდაც, როგორც ხორცი უსულოდ, არაფრის მაქნისია. ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისთვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური ჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმიგომ, რომ კაცურ-კაცურად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი“.

როგორ მიესადაგება დიდი ილიას ეს სიტყვები დღევანდელ დღეს, თითქოს ახლახან დაწერილია, არადა, საუკუნეზე მეტია გასული. ხომ გვმოძღვრავს ჩვენი სულიერი მამა, კაცურ-კაცურად იცხოვრეთ, რომ მერე თქვენი ცხოვრებით შთამომავლობაც ამაყობდესო.

ვასრულებენ კი ამ ნაანდერძევს? – დანამდვილებით ვამბობ, ეს ჩინებული სიტყვები ალბათ არასოლეს წაუკითხავს იმ ადამიანს, რომლის ერთი უგვანი (ჩემი აზრით) საქციელის გამოც დაიწერა ეს წერილი.

საქართველოში საკმაოდ ბევრია მრავალშვილიანი ოჯახი, მარტო ვაკე-საბურთალოს რაიონში 1700-ზე მეტი ასეთი ოჯახი ყოფილა. რადგან სახელმწიფოს ჯეიჯერობით უჭირს და სათანადოდ ვერ ეხმარება ასეთ ოჯახებს, ამ მისიას რაიონში მცხოვრები ბიზნესმენები ასრულებენ. ისინი მხარს უბამენ რაიონის ხელმძღვანელებს და დროდადრო ეხმარებიან მრავალშვილიანებს, უმეტოებს, ზოგიერთმა, დამატებით, უფასო სასადილოების შეფობაც იკისრა.

ეს ერთ რაიონში. აღბათ ასეა ბევრგან, რადგან თბილისშიც და სხვაგანაც არიან მრავალშვილიანები, არის ე. წ. მშობლების მზრუნველობასმოკლებულ ბავშვთა სახლები, არიან ობლებიც, არავინ რომ არა ჰყავთ.

თუ ფული გვაქვს, ისიც საკმაოდ, ვქმნათ სიკეთე, დავეხმაროთ შეჭირვებულებს. დამერწმუნეთ, ეს ყველაზე დიდი მადლია.

რამდენიმე დღეა, ვაგრიალებ ჟურნალ „რეიგინგს“. იქ მოთხრობილმა ერთმა ამბავმა სულით ხორცამდე შემმრა. რა მოხდაო, იკითხავს დაინტერესებული მკითხველი. მეშინია კიდეც გამხელისა, რადგან ბევრმა შეიძლება თავად მე გამკიცხოს, რა მოხდა მერე, კაცს ფული ქონდა და შეილს ასაბოვნაო. მე კი მგონია, მამამ (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ) დაბადების დღეზე შვილს სიურპრიზი კი არ გაუკეთა პოპ-მომღერალ გლუკოზას ჩამოყვანით, არამედ პირიქით, მეგად ცუდი სამსახური გაუწია. როგორც ჟურნალი წერდა, პოპ-ვარსკვლავის თბილისში ჩამოყვანისთვის, არც მეგი, არც ნაკლები, მან 18 ათასი დოლარი გადაიხადა! გოგონას სხვა მომღერალი რომ ჰყვარებოდა, მამამისს არც იმისი ჩამოყვანა გაუჭირდებოდაო. გლუკოზა თავისი სამყაროდან 30 ათას დოლარზე ნაკლებად ფეხს არ იცვლის, მაგრამ პაგიცემულ მამას, თურმე, ეს „სკიდკა“ საერთო ნაცნობებმა გაუკეთეს. გლუკოზა ქალიშვილის მეგობრების რაოდენობამაც გააოცა თურმე, იმდენ თინეიჯერს მოეყარა თავი რესტორანში.

არ ვიცი, რამდენად მნეობრიეა პაგიცემული მამის მოქმედება, ღმერთმა დამიფაროს, ჭკუას ვასწავლიდე, მაგრამ ოფლის ფასად რომ ჰქონოდა ეს ფული მოგროვილი, მაშინაც ასეთი გულუხვი მამიკო იქნებოდა? არა მგონია!

თურმე პარლამენტარობის ამბიციაც ქქონია ამ „კეთილ“ მამიკოს, კენჭიც ეყრია ისნის რაიონში, მაგრამ ეია ყარყარაშვილს უჯობნია, სააგიტაციო პლაკატს კი სურათთან ერთად ასეთი წარწერა ამშვენებს: „საგიოსნება, პასუხისმგებლობა, საქმე“ (კომენტარი მკითხველისთვის მიმინდვია).

მე არც პროკურორი ვარ და არც მოსამართლე, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ინგრიგანი. სულ არ არის ჩემი საქმე და არც მაინტერესებს ფულების წარმომაგლობის ისტორია, ისე ჩემთვის ვფიქრობ (თუ ვწერ), უკეთესი არ იყო, მშობლიური რაიონის, ისნის მოსახლეობისთვის გაეწია დახმარება, იქაც ხომ ბევრი იქნება მრავალშვილიანი ოჯახი?

თუმცა ამას თავი დავანებოთ. ერთი წინადადება მაქვს: თუ კიდევ გაუჩნდება შვილისთვის სიურპრიზის განმეორებით გაკეთების სურვილი, ერთ იდეას შევთავაზებ:

სიღნაღის რაიონში, აზერბაიჯანის მოსაზღვრედ, არის ულამაზესი სოფელი ერისიმელი, ამ სოფელში ძირითადად აჭარიდან, მიწისძვრის შედეგად გამარალებული ოჯახები ჩამოასახლეს ორსართულიან ბეტონის სახლებში. ტრადიციისამებრ ყოველი მეორე ოჯახი მრავალშვილიანია. ჰყავთ 7-8-9-10 ბავშვი. უჭირთ, ძალიან უჭირთ, მაგრამ არ წუწუნებენ. ქვეყანას უჭირსო, ამიტომ ჩვენც უნდა მოვითმინოთო, ასე ამბობდენ ორი-სამი წლის წინათ, როცა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ სოფლის მცხოვრებლებზე წერილი დაიბეჭდა. მაშინ ჩვენმა რედაქციამ თანამშრომლების ერთი დღის ხელფასი – 500 ლარი გადაერიცხა ერისიმელელებს, ჩავუგანეთ აგრეთვე განათლების სამინისტროდან უფასოდ აღებული სახელმძღვანელეობანი, რომლებიც, როგორც პედაგოგებს, ისე მოსწავლეებსაც თვალითაც არ ენახათ. ვერ წარმოიდგენთ იმ ბავშვების სიხარულს, განცდას, რომ ისინი ახსოვთ, რომ გაჭირვების მიუხედავად მაინც ეხმარებიან. მე მაშინ ჩემი თავი უბედნიერესი ადამიანი მეგონა.

სხვისთვის ბედნიერების მინიჭება, იგივე ჩვენი ბედნიერებაა, ჩვენს შვილებს რომ წაადგებაო ისეთი. ჩემსას თუ არ ირწმუნებთ, დიდ ილიას მივუგდოთ ყური, კაცურ-კაცურად იცხოვრეთო, რომ ამბობს. მე მგონი, სწორედ ასეთ ცხოვრებას გულისხმობდა ერის მამა. იქნები ვცდები? არ ვიცი, ღმერთმანი, არა...

ნაზი იმნაიშვილი.

რედაქციისგან: ეს რეალური ამბავია. თუ აღნიშნული პიროვნების გვარს ამჟამად არ ვასახელებთ, მხოლოდ იმიტომ, რომ გვწამს: იგი მართლაც რეალურად დაეხმარება ერისიმედელებს (ან სხვა გაჭირვებულთ). ამაზე კი სიამოვნებით ვაუწყებთ მკითხველებს.

◎ მედიცინა

03 – ეკეკლა ჭოსანლეოჯისთვის

უკვე ვიცით, რომ 26 მაისიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარება ამოქმედდება. ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ საქართველოს ყველა რაიონის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მთავარ ექიმს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ლაღო ჭიპაშვილი, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორი ბაბა სოფრომაძე და მისი მოადგილე პახტანგ სურგულაძე შეხვდნენ.

ექიმები იმ სამუშაო პროგრამას გაეცნენ, რომლითაც მომავალში უნდა იხელმძღვანელონ. ამ პროგრამით ისინი ვალდებულნი არიან, ოპერატიულად აღმოუჩინონ სასწრაფო სამედიცინო დახმარება პაციენტს. საქართველოს ყველა რეგიონში სასწრაფო სამედიცინო დახმარების მედპერსონალს მინიმუმ 2 მანქანა მოემსახურება. სახელმწიფო კი ვალდებულებას იღებს, რომ სასწრაფოს მანქანებს შეუფერხებლად მოამარაგებს საწვავით და საჭირო მედიკამენტებით. თბილისში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმებს დანიშნულებათ 400, ხოლო რეგიონებში 300 ლარი ხელფასი.

– ეს საკმაოდ კარგი ხელფასია იმისთვის, რომ ექიმმა კეთილსინდისიერად იმუშაოს და პაციენტისგან ზედმეტი თანხის მიღებას აღარ დაელოდოს, – განაცხადა ლაღო ჭიპაშვილმა. მან მკაცრად გააფრთხილა ექიმები, თუ რომელიმე მათგანი პროფესიული ვალის მოხდის დროს არაკეთილსინდისიერ ქმედებაში შეინიშნება, კანონის წინაშე პასუხს აგებს, როგორც ქრთამის ამღები. კანონით დაისჯება არა მხოლოდ მორიგე ექიმი, არამედ სასწრაფო სამედიცინო დახმარების, როგორც მუშაობის ძველი სისტემა, ასევე თვით ექიმების აზროვნებაც. ვინც ფიქრობს, რომ ოპერატიულად და კეთილსინდისიერად მუშაობას ვერ შეძლებს და 400-300 ლარს ვერ იმყოფინებს, სჯობს ახლავე დაგვემშვიდობოსო.

რაც შეეხება სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებს, მსურველი ძალიან ბევრია და ისინი კონკურსის წესით შეირჩევიან. რაიონებიდან ნამოსული ექიმები შეთავაზებული პირობებით კმაყოფილნი არიან. როგორც გვითხრეს, მოსახლეობა მოუთმენლად ელოდება უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარების ამოქმედებას.

ლელა ჭოლიკიშვილი.

◎ სიახლე

ბორჩალოური ხალიჩა გადარჩა!

სიღნაღში ახალგაზრდები ძვირფას ხალიჩებს ქსოვენ

საქართველოში უძველესი დროიდან ფლობდნენ ბორჩალოს გიპის ხალიჩებისა და ფარდაგების ხელით ქსოვის უნიკალურ ტექნოლოგიას.

ცნობილია ისიც, რომ საქართველოში ხელით იქსოვებოდა 150-მე მეტი სხვადასხვა სახის, ზომისა და ერთმნიშვნელოვნად მაღალი მხატვრული ღირებულების მქონე ბორჩალოური ხალიჩა და ფარდაგი. ისინი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ ორიგინალური ორნამენტებით, ფერების უნიკალური შეხამებით და სინაგიფით. როგორც ძველი, ასევე ახალი ქართული და უცხოური ლიტერატურული წყაროებიდან არის ცნობილი, სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობეს ყველა ქვეყნის ხალიჩის მოყვარულთა და კოლექციონერთა დაინტერესება ქართული ხელით ნაქსოვი ბორჩალოური ხალიჩების და ფარდაგების მიმართ. თვით საქართველოში კი ხალიჩამ ისე დაიმკვიდრა ადგილი, ყველა არისტოკრატული, შეძლებული ოჯახი თავს ვალდებულად თვლიდა სახლში ჰქონოდა თუნდაც ერთი ასეთი მაღალი ხალხური ხელოვნების ნიმუში.

ის ამშვენებდა ქართველ დიდებულთა სახლის ინტერიერს და ადამიანებში დადებით ემოციებს იწვევდა.

სამწუხაროდ, ყველასთვის ხელსაყრელი და პრესტიჟული ამ კულტურული ფასეულობის შექმნა საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ შეწყდა. მოსახლეობას აუკრძალეს ინდივიდუალური მეწარმეობა. შეიქმნა სახელმწიფო ფაბრიკები, სადაც მთავარი იყო რაოდენობა და არა ხარისხი. ძაფები მზადდებოდა ახლებური, საეჭვო ხარისხის ქიმიური ტექნოლოგიით და დავიწყებას მიეცა ქართული ხელით ნაქსოვი ბორჩალოს გიპის ხალიჩებისა და ფარდაგების ქსოვის არა მხოლოდ ტექნოლოგია, არამედ მატყლის ძაფის შესაღებად საჭირო ბუნებრივი ფერების დაყენების კულტურაც კი. დროთა განმავლობაში, სამწუხაროდ, ეს უნიკალური ხალიჩები და ფარდაგები, სრულიად გაქრა, ხოლო ხელით ქსოვის ტექნოლოგია დავიწყებას მიეცა.

საბედნიეროდ, საქართველოში ჯერ კიდევ არიან შემორჩენილი ერთეული ადამიანები, რომლებმაც წინაპრების გადმოცემით ეს ხელსაქმე იციან. ზოგიერთი მათგანი ნამდვილი პროფესიონალია. ბუნებრივია, თუ მათ ქსოვის ტექნოლოგია მომავალ თაობებს არ შეასწავლეს, შორს არ არის ის დრო, როცა საერთოდ დაიკარგება საუკუნეების განმავლობაში ნალოლიავები და შემონახული ეს კულტურული მემკვიდრეობა.

ქართულ-ამერიკულმა ახალგაზრდულმა ასოციაციამ მიზნად დაისახა საქართველოში ამ ეროვნული ფასეულობის აღორძინება.

სწორედ საამისოდ სპეციალური პროექტი წარვადგინეთ დაინტერესებულ ორგანიზაციებში, მაგრამ დაფინანსებას ვერ მივაღწიეთ. შემდეგ კი გადავწყვიტეთ საკუთარი ძალებით დაგვეწყო ამ საქმის ხორცშესხმა. საგანგებოდ შევარჩიეთ ქალაქი სიღნაღი, რომელიც თბილისიდან მხოლოდ 110 კილომეტრით არის დაშორებული და სადაც ძაფის დასამზადებლად საუკეთესო ხარისხის მატყლი ბლომად მოიპოვება. კახეთის მთებში კი ხარობენ მცენარეები ნატურალური საღებავების დასამზადებლად, მატყლის ძაფების საჭირო ფერებით „შესამოსად“ რომ გამოდგება.

სიღნაღის ერთმა დაწესებულებამ დაგვითმო ერთი ოთახი, მოვიძიეთ და შევარემონტეთ სოფელში დარჩენილი სამი ძველი საქსოვი დაზგა. ქსოვისთვის აუცილებელი ძაფის ნაწილი თვითონვე დავამზადეთ, ნაწილი – შევიძინეთ. ქსოვის ხელოვნებით დაინტერესებული ახალგაზრდებისგან შევქმენით 6-კაციანი ჯგუფი, ჩავუგარეთ შესაბამისი ტრენინგები და ამ საშვილიშვილო საქმის ექსპერგისა და პროფესიონალის დავით ბერაიას უშუალო ხელმძღვანელობით დავიწყეთ ბორჩალოს გიპის ხალიჩებისა და ფარდაგების ხელით ქსოვა. ახალგაზრდებმა კარგად აითვისეს ქსოვის ტექნოლოგია.

ასე აღვადგინეთ ჩვენი წინაპრების მიერ საუკუნეების წინათ საქართველოს ისტორიის წიაღში თითქმის ჩაკარგული ქართული გრადიციული კულტურული მემკვიდრეობა.

ახლო მომავალში დაგეგმილი გვაქვს საქართველოს რეგიონებში და მეზობელ ქვეყნებში მოვიძიოთ ჯერ კიდევ შემორჩენილი ძველი ბორჩალოს გიპის ხელით ნაქსოვი ხალიჩები და ფარდაგები, ფოტოზე აღვბეჭდოთ ისინი, ასევე მოვიძიოთ და განვაახლოთ ძველ ჟურნალებში ან ოჯახებში შემორჩენილი სურათები და შევადგინოთ ფერადი სლაიდები დამშვენებული წიგნი-ალბომი, სადაც, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე, დაწერილებით იქნება აღწერილი თითოეული ხალიჩისა და ფარდაგის ისტორია. კერძოდ, რომელ წლებში იქსოვებოდა, რა წესით, როგორ ხდებოდა მასალებისა და ფერების შერჩევა, რა შინაარსი იყო ჩადებული ორნამენტებში, ალბომში წარმოჩინდება ამ გიპის ხალიჩებისა და ფარდაგების დაფენით მხარეები სხვა გიპის ხალიჩებთან და ფარდაგებთან შედარებით.

გვინდა, აგრეთვე, გამოვუშვათ საინტერესო წიგნი-ალბომი, რომელიც საქართველოში ჯერ არ გამოცემულა. მისი დახმარებით მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ამ საქმით დაინტერესებული მოქალაქე შეძლებს გაეცნოს ამ უნიკალურ ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას. წიგნი-ალბომი ასევე გახდება სახელმძღვანელო ამ გიპის ხალიჩებისა და ფარდაგების ქსოვის წესების სწავლებისთვის.

სამწუხაროდ, საამისო სახსრები არ გაგვაჩნია. ამიტომაც ქართულ-ამერიკული ახალგაზრდული ასოციაცია თხოვნით მიმართავს ქართული კულტურული ფასეულობის გადარჩენით დაინტერესებულ ბიზნესმენებს, კერძო პირებსა და ორგანიზაციებს დახმარება გაგვიწიონ ამ უნიკალური წიგნი-ალბომის გამოსაცემად.

ნოდარ როგავა,
ქართულ-ამერიკული ასოციაციის წევრი.

სურათებზე: სიღნაღში ასე ქსოვენ ქართულ (ბორჩალოურ) ხალიჩას; ხალიჩის გადამრჩენელთა ჯგუფი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 118. პარასკევი, 20 მაისი, 2005 წელი.

ლიტერატურული საუბარი

ათასის ტკივილის და ვერ გავუძელ-ვალუბის, ხელი გავაგვიკ-ის

ეკატერინა თაქაიშვილი

დაიბადა 1961 წელს გორის რაიონში. დაამთავრა თსუ ქიმიის ფაკულტეტი და თსუ საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი ფერწერის სპეციალობით.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი: ქეთევან, გიორგი და ბარბარე ასანიძეები.

იბეჭდება 1983 წლიდან. გამოცემული აქვს ლექსების ორი კრებული: „ახალწლის ღამე“ (1993 წ.) და „სიყვარულის თილისმა“ (1996 წ.).

1. რას ფიქრობ XXI საუკუნის ლიტერატურულ ტენდენციებზე?
2. გამართლებულია წიგნის გადაქცევა კომერციისა და ბიზნესის საგნად? როგორ წიგნს ეყოლება მკითხველი მომავალში?
3. რა მიგაჩნიათ არსებით პრობლემად საქართველოსთვის?
4. როგორ აფასებთ გრადიციულ კლასიკურ მწერლობას? რა შეგძინათ თქვენ, როგორც მწერალს? რომელია თქვენი სამაგიდო წიგნი?
5. რას იტყოდით ქართული ენის მიმართ მწერლის დამოკიდებულებაზე?
6. რაზე მუშაობთ ამჟამად?

● ყველასთვის ცხადია, რომ ცხოვრების მდინარეს კალაპოტი შეიცვალა. ყველა, ვისაც სიცოცხლე სურს, ძალაუნებურად, მდინარის დინებას გაჰყვა. ხოლო ის, ვინც ძველ ადგილას დარჩა, ცხოვრების მიღმა აღმოჩნდა. ოდითგანვე ასე იყო, ქვეყნის წარმმართველ ძალას ხელოვანი, შემოქმედი ხალხი წარმოადგენდა და საერთო ამინდსაც გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები, უპირატესად, მწერლები ქმნიდნენ.

ცხოვრების რიგმი, დამოკიდებულებანი და მოთხოვნილებანი ყველაფრის მიმართ შეიცვალა. საერთო გლობალიზაციის პროცესის შეჩერება არავის ძალუძს. ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებას პოლიგიკოსები და ბიზნესმენები ვერ იგვირთებენ, რადგან ეს მათ ბუნებრივ ძალებს აღემატება. თუმცა დღეს ლიტერატურულ მდინარეს ბევრი ქვა-ღორღი მოჰყვება და ამღვრეულია. მჯერა, მას დრო დაწმენდს და კალაპოტის ღირსეულ წარმმართველად აქცევს.

● მოსპობრმა, რა ღონეა საფუძველად წიგნის ბიზნესს. დღეს წიგნის ბიზნესი ემსახურება არა სულიერების ამაღლებას, არამედ პირად გამდიდრებას. უახლოეს ხანში მკითხველის მოთხოვნილება კიდევ შეიცვლება. მას წიგნის გარეგნული ზიზილ-პიპილებით ვერ მოხიბლავ, მკითხველი მხოლოდ ისეთ წიგნს ეყოლება, რომელიც ადამიანს სულის გადარჩენასა და ფორმირებაში უფრო მეტად დაეხმარება, ვიდრე ინფორმაციის სხვადასხვა თანამედროვე, მშარდი, საშუალება.

● არსებითი პრობლემად ხელისუფლების მშვიდობიანი, სიახლის მაძიებელი პოლიგიკა მიმაჩნია, რომელიც მიმართულია საქართველოს ტერიგორიული მთლიანობის დასაბრუნებლად, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ერის სულიერი მთლიანობის შენარჩუნება, საჭიროა მეგად იგრძნობოდეს ზრუნვა ქართული სულის, ტრადიციული ღირებულებების დასაცავად და კიდევ უფრო გაბაბრწყინებლად.

წყალდიდობით მიყენებულ ზარალს ვითვლით და ხალხს ფიზიკურ საზრდოს, ჰუმანიგარულ დახმარებას ვთავაზობთ, ვამშვიდებთ, თანადგომას ვუცხადებთ. დღეს ეს აუცილებელი და საჭიროა. მაგრამ როგორ ვაწვდით სულიერ საკვებს მომავალ თაობას? წრეგადასულ იუმორში, ჩვენს გაშარეებულ ცხოვრებაში, ხშირად ყოველგვარ აბროვნებას მოკლებულ უკბილო ხუმრობებში, გაუთავებელ სერიალებში ინთქმება და ილეკება სულიერი მოსავალი, ის, რითაც ახალგაზრდობამ უნდა ისაზრდოოს.

● დღევანდელობის გადასახედიდან კლასიკოსები მწვერვალებივით შორს ჩანან. სიმაღლეს და სიღრმეს ლიტერატურაშიც აქვს საზომი. სწორედ ამის გასაგებად გვეხმარებიან კლასიკოსები და გვასწავლიან ამ გზაზე სიარულს. დროის ცვალებადობა, მართალია, მათ ვერაფერს აკლებს, მაგრამ ცხოვრება ამ მწვერვალებს თანდათან გვაშორებს.

ლიტერატურამ და, საერთოდ ხელოვნებამ დამაკავშირებული ძაფები უნდა მოძებნოს, აწმყოს გავლით, წარსულსა და მომავალს შორის. დროის ტალღას თუ ვერ გავუმკლავდებით, ზედ გადაგვივლის. ამ ბრძოლაში კი მხოლოდ და მხოლოდ დიდი სიყვარულით გავიმარჯვებთ.

რაც შეეხება ჩემს სამაგიდო წიგნს, განწყობილებას და სულიერი მოთხოვნილებას მიხედვით ვცვლი. წიგნები ძირითადად ფილოსოფიური, რელიგიური ან სამედიცინო შინაარსისაა.

● ქართული ენა იმდენად რთული, მრავალფეროვანი და მოქნილია, მწერალს გამოყენების უსაზღვრო შესაძლებლობებს სთავაზობს. დიდი გაფრთხილება, პაგივისცემა და სიყვარული, მისი ღრმა ცოდნა – აი, რა სჭირდება ქართულ ენას არა მარტო მწერლისგან, არამედ ყველა ქართველისგან.

● რამდენიმე თვის წინათ გამოვიდა პოეტური კრებული „ვაიმეორე სიცოცხლე“ (რედაქტორი ლელა მეტრეველი, მხატვარი ჯონი ფოგაბერიშვილი). მალე გამოიცემა ლიტერატურული ზღაპრები.

ჩაიწერა
თამარ შაიშმელაშვილმა.

* * *

აი, ესეც მრავალფერდა
ჰრიზმის წვერო, —
საითკენაც გინდა დაეშვა,
მაინც შენს ფუძეს
დაუბრუნდები!

* * *

დღეს მე,
ხვალ იმან,
ზეგ...
შეიძლება
საუკუნემაც
გაგასწროს წუთით.

* * *

დახუჭულ თვალებს
წედება კურცხალი —
კლდიდან გადმოდის
კამკამა წყარო,
გამიღე კარი, რომ მეც
ჩიტივით
სარკმელ-სარკმელ
არ ვიხეტიალო.

* * *

შემიძენია
„ჩემიანები“ —
ოჯახი, მეგობრები, ნათესავები:
შორეული წარსულიდან
ახლლეტილ ქონსავით
როგორ მოვდებივარ აქაურობას.

მინდვრის ანგელოსი

როდესაც გული შავად ელვარებს
და ირგვლივ დიდი
ცვცხლი ბრიალებს,
მაშინ, ეაეაჩო ხარ —
მინდვრის ანგელოსი,
იტირე!
მასავით იცასცასე...
ლექსებით დასალული ფურცლები —
ქარში მოწეეტილი ფრთები —
სამუაროს გადააურე...

ცისფერი ვარსკვლავი

იქნებ ეს ფიქრიც
ღრუბელია — სხვა არაფერი —
წავა და ცაზე
დაფანტავმდე იხეტიალებს...
და ვინ გაიგებს ან ვინ შეიცნობს
შენი ცხოვრების ნისლეულში
რად ჩავიძირე,
ან რატომ მინდა,
ჩემი ცვცხლით რომ ანათებდე!

ექო

ამ გაზაფხულზეც მომენატრები,
რადგან მიზეზი მექნება თრობის:
აფეთქდებიან ჩვენი ატმები,
მწვერვალებიდან ჩამოვა თოვლი.
ჩამოგვადნება სხეულზე ექო
და თმას დამიწნავ ისევ ახლიდან,
რომ ნაწნავების სიგრძით გაიგო,
რა დრო გასულა ბოლო ნახვიდან.

* * *

არა, არ მითხრა არაფერი.
სიტყვები თოთო ყვავილებია
და სიცოცხლის სიცივეში მომყინება...
არ გამოუშვა კვირტებიდან
ჭაწია ფრთები,
არ გამიფრინდე!
არ გამიფრინდე!
გეეედრები!

* * *

სულ მეჩვენება,
რომ ცხოვრება
დიდი ცისფერ
და იქიდან მეავს
სიყვარული
გამოსახსნელი...
თუ ეეელა ცისფ
შიგნიდან ტეედება,
მაშ, სიყვარულო, მომეხმარე,
მომეხმარე,
ღვთის გულისათვის!

* * *

კიდევ რამდენ წუთს მოიპარავ,
სად გადამალავ...
ნუთუ გგონია,
იმდენს შემლებ, რომ
მოაგროვო
მარადისობა?!

* * *

გული მიფრთხიალებს,
შენს მუჯში მომწეედეული
ჩიტი ვარ და,
რომც გავფრინდე,
შენს ხელისგულზე
ბედის ხაზს
ფრთებით წამოვედები
და ისევ,
ისევ დაგიბრუნდები.

* * *

ამობურცული ჩემი ქუთუთო
ლურჯი ქოლგაა...
ნუდარ იდარდებთ,
თავსხმაც რომ იოს,
ჩაისვირნეთ სველ ტროტუარზე...
ჩემი თვალების ბატარა ქოლგა
თქვენ, ასე დიდსაც
კი შეგიფარებთ.

* * *

უღრუბლო ღამეა.
ვარსკვლავებივით მომრავლებულან
კარის წინ
ჩემიანების ფეხსაცმელები.

* * *

მუხაზე ჭკიდია
გრძელი საქანელა:
გაქანდები —
ბავშვი ხარ,
გამოქანდები და —
შკვე მოხუცი.

* * *

სამმიმარი —
მოჭრილ ხეს
ჩიტების
გუნდი შეფენია.

* * *

მზე ჩადის —
გრძელდება
ჩემი ჩრდილი
და...
გიახლოვდება
შენ.

* * *

წუთით ჩერდები.
ოთახის ყვავილს,
მზისგან ამომშრალს,
მეჩურჩულები:
„მშვენიერი ხარ!
სახწაული ხარ!“
ფოთლები გულიანით მეკუმშება:
შეიძლება წყალი დამისხა?!

◎ მოვიგონოთ ჩვენი ახალგაზრდობა

ნუგზარ წერეთელი:

გურამ რჩეულიშვილს სამხედრო შეკრებაზე ჭრელი პერანგი ეცვა

რომ არა განგების ნება, 2001 წლის 4 ივლისის ღამეს ტრაგიკულად დასრულდებოდა ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნუგზარ წერეთლის სიცოცხლე.

უკვე გახმაურებული ფაქტია: თავისი სადარბაზოს შესასვლელთან არამზადებმა, სიკვდილის პირას მიაყენეს კაცურკაცობით გამორჩეული ქართველი (გვარიშვილობაზე ადარას ვამბობ), შესანიშნავი პოეტი და პუბლიცისტი...



ფეხზე დადგა მთელი სამედიცინო საზოგადოება, არაფერი დაინანა ყველა გაჭირვებული ქართველი ინტელიგენტის მეოხმა, მსოფლიოში ცნობილმა მხატვარ-მონუმენტალისტმა ზურაბ წერეთელმა, რაც მთავარია, ჩაერია განგების ძალა, თორემ, ნუგზარ წერეთელი დღეს, როგორც იტყვიან, კაი ხნის გამოგირებული ეყოლებოდა ყველას.

– ორი პროცენტი იყო გადარჩენის შანსი, – მიამბობს ბაგონი ნუგზარი, – მაგრამ „დავუძვერი“ სიკვდილს და ისევ ჯანზე ვარ, წელიწადნახევარი ჯოხით დავდიოდი... ახლა, არა მიშავს... რა დაგიმალო, იმ ავადმოსაგონარი ღამის შემდეგ ცოტა შიში დამჩემდა, საღამოობით გარეთ ველარ გამოვდივარ და, სამაგიეროდ, ეწერ და ეწერ... ავადმყოფობაში დაწერილ რომანს – „სიკვდილი ოცდაათ ლარად“, ახლახან ერთი რომანიც – „დაუსრულებელი ზამთარი“ მივუმატე...



– ჩვენი შეხვედრის მიზეზიც ეგ რომანია, ბაგონო ნუგზარ... თქვენ კი მისახსოვრეთ, ამას წინათ, მაგრამ ეს, თითქმის ექვსასგვერდიანი წიგნი, ჯერჯერობით, მთლიანად ვერ წავიკითხე. თუმცა, ვნახე, რომ აქ მარადიულ თემას – კეთილისა და ბოროგის ბრძოლას შესჭიდებიხართ, მთავარი მოქმედი პირები კი, ძირითადად, თქვენი თაობის ახალგაზრდები არიან...

– მე შევეცადე დამეწერა ის, რაც განვიცადე მთელი ცხოვრების მანძილზე. არნოლდ ბენეტი სგაგიაში – „როგორ იწერება რომანები“ აღნიშნავს: „მხატვრული პროზის ნებისმიერი ნაწარმოები საბოლოო ჯამში ავტობიოგრაფიულია და ეს მართებულია. აბა, კიდევ როგორ უნდა იყოს? მწერალი საყრდენს მხოლოდ საკუთარ თავში პოულობს. ის თავის მიზანს ისე აღწევს, რომ პრაქტიკულად არაფერს თხზავს, მხოლოდ ნანახსა და განცდილს აღწერს ოდნავ შეცვლილი სახით“.

გასახსენებელი უამრავი იყო – ახალგაზრდობის სისხლსავსე დღეები, სტუდენტობის განუმეორებელი წლები, სილაღე, იმედგაცრუება, სიყვარული... მაგრამ ბოლშევიზმის, ტოტალიტარიზმის ეპოქა მაინც სასტიკი იყო და მინდოდა სწორედ ეს ამოეკითხათ ამ რომანში ჩვენს შვილესა და შვილიშვილებს... მაგალითად, მამაჩემი – უწესიერესი კაცი, სპეგაკი პიროვნება, დაჯილდოებული პოეტური ნიჭით (ისიც – აკაკი წერეთელი) იმის გამო დააპატიმრეს, რომ მისი მიწის ნაკვეთი მიესაკუთრებინა ზოგიერთს. ამას დაემატა გვარიშვილობა და, წარმოიდგინეთ, დახვრეტის მუხლი შეუფარდეს, რომელიც შემდეგ 10 წლის ციხით, ქონების კონფისკაციით და, თბილისიდან 100 კილომეტრის მანძილზე ცხოვრებით შეუცვალეს. ჩვენც ცხინვალში ვცხოვრობდით რამდენიმე ხანს. იქ ერთად ვსწავლობდით, სხვათა შორის, შემდეგში ცნობილი ოსი პოეტი და „ვეფხისტყაოსნის“ ოსურ ენაზე მთარგმნელი გიორგი ბესთაევი და მერაბ ელიოზიშვილი... მერე მოვბრუნდით თბილისში. ძალიან იწვალა მამაჩემმა იმისთვის, რომ ქალაქში, სადაც ოცანი წლებიდან ცხოვრობდა, ხელახლა ჩაწერილიყო... იფიქრებდი, თითქოს ბოროტებას უნდა გაემარჯვა, მაგრამ მაინც სიკეთემ იმძლავრა, ცხოვრება ნელ-ნელა აეწყო, მამაჩემმა – ამ ნაწვალებმა, ათასჭირვარამგადაგტანილმა კაცმა, რომელსაც ქართული სიტყვა, ქართული ლექსი ასულდგმულებდა, 90 წელიწადი იცოცხლა, მის მტერს და დამსმენს კი, გაცილებით ადრე, ყოფა ეტირა – ერთს გული გაუსკდა, მეორე კობრამ დაგესლა, მესამე – მთელი ოჯახით საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპა... აი, ეს კეთილისა და ბოროგის მარადიული დაპირისპირება მინდოდა გადმომეცა რომანში...

– აქ ბევრ რეალურ პერსონაჟსაც შეხვდება მკითხველი, მაგალითად, გურამ რჩეულიშვილს... შემოქმედებითმა ინტელიგენციამ კარგად იცის თქვენი და გურამის ახლო მეგობრობის ამბავი, რაც თქვენ რჩეულიშვილისადმი მიძღვნილ შესანიშნავ წიგნში – „მე ახლაც 26 წლისა ვარ“ – გადმოეცით... მთელი ცხოვრება ჭირისუფლობთ მას, „გურამ რჩეულიშვილის საზოგადოების“ ეგიდით უკვე სამი ტომი გამოეცით (ცხადია, დის – მარინე რჩეულიშვილის ხელშეწყობით) გურამ რჩეულიშვილის ნაწერებიანი...

– კიდევ სამია გამოსაცემი... და, როდესაც ამ ნაადრევად წასული კაცის მხატვრულ ნაწარმოებებს, დღიურებს, წერილებს მთლიანობაში ნახავს მკითხველი, დარწმუნებული ვარ, გურამის სიდიადე ერთი-ორად მოიმატებს. გამოცემა დააფინანსა ჩვენმა ძვირფასმა ზურაბ წერეთელმა... მე ხშირად მეკითხებიან როგორ გაიცანით ერთმანეთი თქვენ და გურამ რჩეულიშვილმაო. ეს პაოსერთა სასახლეში მოხდა – მე ლიტერატურის წრის წევრი ვიყავი, გურამი – ისტორიისა. მერე იყო უნივერსიტეტი... იგი ისტორიის ფაკულტეტზე სწავლობდა, მე – ფილოლოგიურზე... რომ იტყვიან, გულმა გული იცნო...

– ამბობენ რთული პიროვნება იყოო, როგორ შეეწყვეთ ერთმანეთს?

– თითქმის ერთნაირი ხასიათი გვქონდა... ათასნაირი ქალაქური ურთიერთობები ერთად გადაგვიგანია... გურამს რომ დაახლოებოდი, უნდა გაგეგო მისთვის, ეს კი ყველას როდი შეეძლო... ის კი არა, ბევრს აღიზიანებდა მისი თავისუფალი ქცევა (არ დაგვიწყდეთ, რა დრო იდგა), უზეველო ჩაცმულობა, რასაც მანერულობით ხსნიდნენ, მაგრამ, ნურას უკაცრავად: გურამი შინაგანად იყო თავისუფალი პიროვნება, ვერ ეგუეოდა გახამებულ საყელოს, არგახებს... იგი, ალბათ, გრძნობდა კიდეც, რომ არ იყო ჩვეულებრივი ადამიანი, რიგითი კაცი... თავად განსაჯეთ, რამდენი მოასწრო 26 წლის ახალგაზრდამ... ჩემზე აღარ ვამბობ, მისი ფასი ჩვენმა ბრწყინვალე პროზაიკოსმა გურამმა იცოდა – გეგეშიძემ... კიდევ რამდენიმე კაცმა... რა დამავიწყეს: სტუდენტები ერთი თვით დუშეთში ვიყავით სამხედრო შეკრებაზე. მკაცრი წესი და კანონი ჩვენზეც ვრცელდებოდა, მაგრამ გურამმა, თავისი პრინციპული ხასიათით, მიაღწია, იმას, რომ შეკრებებზე ჭრელი პერანგი ეცვა და არა „გამოსკვანჩული“ სამხედრო ფორმა...

– ბაგონო ნუგზარ, თქვენ მშვენიერ ლექსებს წერდით... პროზამ ხომ არ „ჩაგითრიაათ“, მუზასთან ხომ არ გაწყვიტეთ კავშირი?

– რას ამბობთ!.. ღმერთმა ნუ ქნას!.. პროზა ბევრ სათქმელს იტევს და ამატომაც შევეჭიდე, თუმცა, შესვენებების ჟამს, ლექსსაც ვიეწყებდი და, იმდენი დამიგროვდა, წარმოიდგინეთ, ორი მოზრდილი კრეული გამოვა თუ გამოცემა შეეძელი... მაგრამ, უნდა შეეძლო და ეს იქნება შემოდგომაზე, ჩემი დაბადების სამოცდაათი წლისთავზე ერთგვარი ანგარიში ქართველ მკითხველთან, რომლის გემოვნებასაც მე ასე ვენდობი.

– მანაც კარგად იცის თქვენი ფასი, ბაგონო ნუგზარ!

ვილენ მარდალეიშვილი.

სურათებზე: რომანის – „დაუსრულებელი ზამთარი“ – გარეკანი; სამხედრო შეკრებაზე დუშეთში, სამახსოვრო ფოტო მეგობრებთან – მარცხნიდან – ნუგზარ წერეთელთან და ვიქტორ კოშევოისთან – ამჯერად სამხედრო ფორმაში გადაუდია გურამ რჩეულიშვილს (მარჯვნივ); ბებუა და შვილიშვილი – ნუგზარ-ნუგზარ წერეთლები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს ვაკანსიას სოციალური მუშაკის თანამდებობაზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იწვევს შესაბამისად კვალიფიცირებულ და გამოცდილ პირებს "ოჯახის თანადგომისა და შვილობილობის" ქვეპროგრამის (ქ. ქუთაისში) სოციალური მუშაკის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

კონკურსი ცხადდება ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე ქ. ქუთაისში.
თვიური ანაზღაურება – 220 ლარი.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განმცხადებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

უმაღლესი განათლება (სამედიცინო, პედაგოგიური, ფსიქოლოგიური ან იურიდიული);
ბავშვებთან და ოჯახებთან მუშაობის გამოცდილება (გათვითცნობიერებული უნდა ჰქონდეს ინსტიტუციური დაწესებულების გავლენა ბავშვის განვითარებაზე);
გააჩნდეს ორგანიზაგორული ნიჭი;
სასურველია, ჰქონდეს კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება;
სასურველია ინგლისური ენის ბაზისური ცოდნა.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა, წარმოადგინოთ შემდეგი საბუთები:

უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
ავგობიოგრაფია (CV);*
სამოგივაციო წერილი;
დახასიათება (გთხოვთ, მიუთითოთ იმ პირთა სახელები და საკონტაქტო მისამართები, რომლებიც რეკომენდაციას გაგიწევენ).

****შენიშვნა:*** ავგობიოგრაფია (CV) უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს: სახელი, გვარი, საკონტაქტო მისამართი, ტელეფონი, დაბადების თარიღი, ოჯახური მდგომარეობა, განათლება, დამატებითი კვალიფიკაცია (ტრენინგები, გადასამზადებელი კურსები), პროფესიული გამოცდილება (სამუშაო ადგილი, დაკისრებული მოვალეობები), უცხო ენისა და კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა და უნარ-ჩვევები, პირადი ხელმოწერა.

საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 27 მაისი

გასაუბრება ჩაგარდება 1 – 4 ივნისს

კონკურსში გამარჯვებული თავდაპირველად გაიელის სოციალური საკითხების, პრაქტიკაზე დაფუძნებულ, ინტენსიური სწავლების კურსს (ძირითადი სამუშაო ადგილიდან მოწყვეტით).

საბუთების მიღება წარმოებს მისამართზე: ***თბილისი, დ. უმნაძის ქუჩა № 52*** – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ადამიანური რესურსების მართვის დეპარგამენტი, ***ოთახი № 122***. საკონტაქტო ტელეფონი:
+995 22 95 01 76

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
თბილისი 0102, უმნაძის ქ. 52, ტელ: 99 60 00, ფაქსი: 96 98 31 ელ.ფოსტა: gakheladze@wanex.net, ვებ-გვერდი: www.mes.gov.ge

◎ განგაშის ზარი

რა მოუვლის ამდენ ნარკომანს

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებულმა სახელმწიფო ნარკოპოლიტიკის განმსაზღვრელმა საბჭომ ქვეყანაში ნარკოსტრატეგიის შემუშავება დაიწყო. საბჭოს წევრები ჯანდაცვის მინისტრთან ლადო ჭიპაშვილთან და ქვეყნის პირველ ქალბაგონთან სანდრა რულოვსთან ერთად გუშინ მედიის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

ცხრაკაციანი საბჭო ამ საკითხებზე მუშაობას სამი თვის წინ შეუდგა და ამ დროისათვის მონაცემთა ნაწილი უკვე შეჯამებული აქვს.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, საბჭოს ძირითადი მიზანია, განსაზღვროს ნარკოპოლიტიკა და ჩამოაყალიბოს სახელმწიფო ხედვა ამ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრთა განცხადებით, ნარკომანის პრობლემასთან დაკავშირებით ისინი აქტიურად თანამშრომლობენ სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან და უახლოეს მომავალში გარკვეულ დოკუმენტსაც მოამზადებენ.

საბჭოს წევრებმა და ჯანდაცვის მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საქართველოში ბოლო წლებში ნარკოგიკების მომხმარებელთა რიცხვი გაიზარდა. დღეისათვის ქვეყანაში 24000-მდე ნარკომანია რეგისტრირებული. მათგან 15000-ზე მეგი ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებელია. ექსპერგთა შეფასებით კი, რეალურად საქართველოში ნარკოგიკების მომხმარებელთა რაოდენობა დღეს 200.000-ს აღწევს.

ინტერ-პრესი.

№ 118. პარასკევი, 20 მაისი, 2005 წელი.

განცხადებები ღია ტენდერების ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (**ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. №29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის №000115007, კოდი 220101107**), აცხადებს ღია ტენდერს **თბილისი-ბაკურიანი-ლაგოდეხის საავტომობილო გზის კმ.79-კმ.96, კმ.103 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესასყიდად** და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. სამუშაოების შესრულების ვადა – მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

დაინტერესებულ პირებს გასაწევი სამუშაოების ტექნიკური ნაწილის შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების და გზების განვითარებისა და ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოებში.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით **2005 წლის 6 ივნისის 10⁰⁰ საათიდან 2005 წლის 7 ივნისის 12⁰⁰ სთ.-მდე,** ორ ეგზემპლარად შემდეგ მისამართზე: **საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 ცნობები:

4.1.1. იურიდიული პირისთვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

ე) ხელის მოწერისთვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელის მომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

4.1.2. შუამავალი პირისთვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

4.1.3 როგორც შუამავარი, ასევე იურიდიული პირისთვის:

– ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (იჯარა, ერთობლივი საქმიანობა, თხოვნება და ა. შ.) შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

№	მანქანა-მექანიზმების დასახელება	რაოდენობა (ცალი)
1	ასფალტგამაგები	1
2	ავტოცვლადი ცალსტვენი მოწ. 0.4 მ³	1
3	კომბინირული მოძრავი	1
4	სანგრევი ჩაქუჩები	2
5	ბრეიკერი სიგანეში 16-20 მ	1
6	სატკეპნი ვიბრაციული 11-18 მ.	1
7	სამანქანო-ამწე მანქანა	1
8	ნიმუშამღები მანქანა	1
9	სარეზერვო-სარეზერვო მანქანა	1
10	პორტალი მანქანა გეგმაამწეობით 10 მ.	1
11	პორტალი მანქანა გეგმაამწეობით 6 მ.	1
12	საგზაო ფრეზი	1
13	ბეტონმტვრევი	1
14	ავტოგრეიდერი სანუალი	1
15	ავტოთვითმცლელები გეგმაამწეობით 7-10 მ	14
16	ავტოცვლისმაგი	1
17	ამწე გეგმაამწეობით 5 მ	1
18	ამწე გეგმაამწეობით 10 მ	1

ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

№	მანქანა-მექანიზმების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, გამ. ნომერი და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული)	საკუთრება (მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა)
1 2 და ა.შ.					

— იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო თუ იმყოფება საკუთრებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს მონაწილის ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა-მექანიზმები.

— ცნობას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

თანამდებობა, სპეციალობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი)
1 2 3 და ა.შ			

— ცნობას სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

შესასრულებელი სამუშაოს სახე	სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგური სამუშაოების შესრულების გამოცდილება
1 2 და ა.შ.		

4.2. ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

— ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს;

— ინფორმაცია იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ განხორციელებული ანალოგიური სახის სამუშაოების გამოცდილების შესახებ;

5. მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის საგენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

6. მონაწილე შემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

7. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას საგენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაიარეს საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დაკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. საგენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ **2005 წლის 13 ივნისის 10⁰⁰ საათიდან 2005 წლის 14 ივნისის 17⁰⁰ საათამდე,** 500 ლარის ოდენობის საგენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, მისამართზე: **საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.**

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ **საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 37-63-95, ბია ღიასამძე.**

სატენდერო კომისია.

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის 29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის №000115007, კოდი 220101107) აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს სამ ლოტად დაყოფილი საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების მოვლა-შენახვაზე, პერიოდულ შეკეთებასა და სარეაბილიტაციო სამუშაოებზე საშედამხედველო მომსახურების (ინტელექტუალური მომსახურება) შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ლოტი - №1: საქართველოს აღმოსავლეთი რეგიონის საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების პერიოდული შეკეთებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოებზე საშედამხედველო მომსახურება:

ლოტი - №2: საქართველოს დასავლეთი რეგიონის საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების პერიოდული შეკეთებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოებზე საშედამხედველო მომსახურება; (აჭარის რეგიონის გარეშე);

ლოტი - №3: აჭარის რეგიონის საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების მოვლა-შენახვაზე, პერიოდულ შეკეთებასა და სარეაბილიტაციო სამუშაოებზე საშედამხედველო მომსახურება.

2. მიწოდების სავარაუდო ვადა - 2005 წლის მეორე ნახევარი.

დაინტერესებულ პირებს გასაწევი მომსახურების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი საგენდერო წინადადებები, სადაც მოცემული იქნება მოგადი მოსაზრებები გასაწევი მომსახურების განხორციელების შესახებ და აღნიშნული იქნება ის ძირითადი სტანდარტები და ნორმები, რომელთა გამოყენებითაც მოხდება საშედამხედველო მომსახურების განხორციელება, ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ (მომსახურების ღირებულების მითითების გარეშე) დალუქული პაკეტებით **2005 წლის 6 ივნისის 10⁰⁰ საათიდან 2005 წლის 7 ივნისის 12⁰⁰ საათამდე,** ორ ეგზემპლარად, შემდეგ მისამართზე: **საქართველოს ეკონომიკურო განვითარებოს სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.**

წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებში მითითებული უნდა იქნას დაინტერესებულ პირს რამდენ ლოგზე სურს ტენდერში მონაწილეობის მიღება.

დაინტერესებული პირების საკვალიფიკაციო მონაცემებს განიხილავს საექსპერტო ჯგუფი, რომლის დასკვნის საფუძველზეც საგენდერო კომისია ტენდერის პირველ ეტაპზე განსაზღვრავს პრეტენდენტებს, ხოლო შემდეგ განახორციელებს შერჩეული პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ პირველადი საგენდერო წინადადებების განხილვას.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

პირველადი საგენდერო წინადადებების შეფასების დროს მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან და არ გამოიყენება მათი ქულებით შეფასება.

ტენდერის მეორე ეტაპზე საგენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისთვის დადგენილ პირობებს.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 ცნობები:

4.1.1 იურიდიული პირისთვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ;

ე) ხელის მოწერისთვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელის მომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

5.1.2 შუამავარი პირისთვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.

4.1.3 როგორც შუამავარი, ასევე იურიდიული პირისთვის:

• ცნობას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავე პერსონალის საერთო და ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.

თანამდებობა, სპეციალობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი)
1 2 3 და ა.შ			

• ცნობას სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

შესასრულებელი სამუშაოს სახე	სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგური სამუშაოების შესრულების გამოცდილება
1 2 და ა.შ.		

4.2. **ინფორმაციები** (მონაწილის მიერ წარმოდგენილი იქნეს წერილობითი სახით:)

• ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს;

5. მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, შემსყიდველის საგენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

6. მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერით, ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაიარეს საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დაკმაყოფილებს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. ქართულ ენაზე შედგენილი საგენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 500 ლარის ოდენობის საგენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ. მისამართი: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

საგენდერო დოკუმენტაციის შეძენის ვადა დაზუსტდება ტენდერის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ და პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. პრეტენდენტებს შეუძლიათ შეიძინონ როგორც ერთ, ასევე სამივე ლოგზე საგენდერო დოკუმენტაცია. შესაძლებელია სამივე ლოგზე, როგორც ერთი გამარჯვებულის, ასევე ცალ-ცალკე ლოგებზე თითო გამარჯვებულის გამოვლენა.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა თითოეულ ლოგზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება სახელშეკრულებო ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 2% ოდენობით.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ **საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოში, სართული მე-13, საკონტაქტო ტელეფონი 37-63-95 ბია ღიასამძე, 38-43-65 იური ბიხანაშვილი.**

სატენდერო კომისია.

უზბეკეთის ჯარებმა ამბოხებული ქალაქი დაიკავეს

უზბეკეთის სამთავრობო ჯარებმა დაიკავეს ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქი ყარა-სუუ. ამბოხებულთა ლიდერი ბაჰთიიორ რახიმოვი აცხადებდა, რომ იქ დაამყარებდა ისლამურ ხელისუფლებას.

ათასამდე უზბეკმა სამხედრომ დაიკავა ქალაქი, რომელზეც გადის უზბეკეთ-ყირგიზეთის საზღვარი. როგორც აღგილობრივი მცხოვრებლები აღნიშნავენ, რახიმოვი და მისი რამდენიმე თანამებრძოლი დაპატიმრებულია.

ოპერაციის დროს, სროლა არ ყოფილა, მაგრამ არის ინფორმაცია, რომ მოხდა რამდენიმე აფეთქება.

ქალაქის მცხოვრებლები აცხადებენ, რომ სამხედროები არ უშლიან მათ ყირგიზეთში გადასვლას ამ ცოტა ხნის წინათ აღდგენილი ხიდით. მაგრამ, როგორც ყირგიზეთის ქალაქ ოშიდან იტყობინებიან, ჟურნალისტებს ყარა-სუუს უზბეკურ ნაწილში არ უშვებენ.

ოთხშაბათს რახიმოვი აცხადებდა, რომ იგი და მისი მომხრეები მშად იყვნენ გაეჩაღებინათ ბრძოლა, თუ უზბეკეთის მთავრობა ეცდებოდა მათი ამბოხების ჩახშობას.

ბი-ბი-სისთვის მიცემულ ინტერვიუში რახიმოვმა აღნიშნა, რომ რეგიონის მცხოვრებლებს მთელი 16 წლის განმავლობაში გაუსაძლისი პირობები შეუქმნა ქარიმოვის რეჟიმმა, და ახლა მათ ამის აგანა აღარ შეუძლიათ. ქალაქის მცხოვრებლების თქმით, უკმაყოფილების მიზეზია ის, რომ არ არსებობს სამუშაო ადგილები, და მთავრობა კრძალავს კერძო ვაჭრობას. „ჩვენ ვებრძვით ქარიმოვს, ვებრძვით მისი პოლიტიკის წინააღმდეგ, იგი არ გვაძლევს მუშაობის უფლებას", – თქვა რახიმოვმა.

უწესრიგობა უზბეკეთის აღმოსავლეთ ნაწილში დაიწყო გასული კვირის დამლევს, ქალაქ ანდიჟანში, სადაც ამბოხებულებმა დაიკავეს საპყრობილის შენობა და გაათავისუფლეს 23 მეწარმე, რომლებსაც ისლამისტ-ექსტრემისტებთან კავშირურთიერთობაში ადანაშაულებდნენ. მას შემდეგ, რაც სამთავრობო ჯარებმა ცეცხლი გაუხსნეს ანდიჟანში საპროტესტო დემონსტრაციის მონაწილეებს, ამბოხების ტალღა მოედო ქალაქ ყარა-სუუსაც.

ოთხშაბათს ანდიჟანში ჩასულმა დასავლელმა დიპლომატებმა განაცხადეს, რომ მათ არ დართეს ქალაქის მცხოვრებლებთან გასაუბრების ნება. გაერომ მოითხოვა საპროტესტო გამოსვლების ჩახშობასთან დაკავშირებული გარემოებების საერთაშორისო გამოძიების დაწყება. ამ მოწოდებას შეუერთდნენ შეერთებული შტატები და ღიდი ბრიტანეთი.

უზბეკეთის ხელისუფლების მტკიცებით, გასულ პარასკევს მომხდარი ტრაგიკული მოვლენების შედეგად დაიღუპა 169 კაცი. ამავე დროს, უზბეკეთის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთმა წყარომ ბი-ბი-სის კორესპონდენტთან საუბრისას აღნიშნა, რომ ანდიჟანში მოკლულია სულ ცოტა 500 კაცი.

ბუში „ახალ დემოკრატიათა" განყოფილებას ქმნის

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა გამოთქვა წინადადება, რომ შეიქმნას სამთავრობო სამმართველო, რომელიც დახმარებას გაუწევს ახალგაზრდა დემოკრატიებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

როგორც ბუშმა განაცხადა, დემოკრატიის გავრცელება მთელს მსოფლიოში მეორე საპრეზიდენტო ვადით მისი საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა გახდება.

ვაშინგტონში გამოსვლისას, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა აღიარა, რომ არსებობს ომისშემდგომი პრობლემები ერაყში, და თქვა, რომ შეერთებულმა შტატებმა უნდა იმოქმედოს სწრაფად, დახმარება გაუწიოს იმ ქვეყნებს, რომლებიც დაადგნენ დემოკრატიული განვითარების გზას.

პრეზიდენტმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ 2006 წლის ბიჯეტში გამოყოფილი იქნება თანხა იმ თანამშრომელთა სპეციალური ჯგუფის შექმნისთვის, რომლებიც მშად იქნებიან ჩავიდნენ ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც კი მოხდება კრიზისი.

„ახალი კორპუსი მშადყოფნაში იქნება", – თქვა ბუშმა საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტში გამოსვლისას, რომელიც მუშაობს მსოფლიოში დემოკრატიის გავრცელების საკითხებზე.

„თუ დადგება კრიზისის ხანა და საჭირო იქნება დახმარება, ამერიკა მშად იქნება ამისთვის", – დასძინა პრეზიდენტმა.

ჯორჯ ბუში გამოთქვამს წინადადებას 100 მილიონი დოლარის გამოყოფის შესახებ, რომელიც მოხმარდება „კონფლიქტებზე რეაგირების ფონდს" შექმნას. გარდა ამისა, კიდევ 24 მილიონი დოლარი უნდა გადაირიცხოს აღდგენისა და სტაბილიზაციის ახალი სამმართველოს დაარსებისთვის, რომელიც შეიქმნება შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტთან.

გასულ კვირას ბუში დაბრუნდა შეერთებულ შტატებში ევროპის ქვეყნებში ტურნედან, რომლის დროსაც იგი იმყოფებოდა ორ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაშიც – ლატვიასა და საქართველოში.

ბუშმა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა რევოლუციათა ჯაჭვს, რომელიც ამ ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში მოხდა მსოფლიოში, მათ შორის, უკრაინასა და ლიბანშიც. „და ეს მხოლოდ დასაწყისია", – თქვა ამერიკის პრეზიდენტმა.

ამაზონის აუზში ტყეებს ანადგურებენ

ბრაზილიის ხელისუფლების მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ამაზონის ჯუნგლის ფართობი რეკორდული ტემპით მცირდება.

გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ერთი წლის განმავლობაში ჯუნგლის ფართობი შემცირდა 26 ათასი კვადრატული კილომეტრით, რაც 6 პროცენტით მეტია გასულ წელთან შედარებით.

ტროპიკული ტყეების ყველაზე მასშტაბური გაჩეხვა მოხდა მატო-გროსუს შტატში, სადაც მიწებს ათავისუფლებენ საექსპორტო სოიის მოსაყვანად.

გასულ წელს სოიის ექსპორტმა, ძირითადად, ჩინეთსა და ევროპაში ბრაზილიას მოუტანა რეკორდული სავაჭრო პროფიციტი.

ათასობით კვადრატულ კილომეტრზე ტყეების განადგურება ნიშნავს იმას, რომ მოისპობა მთელი ამაზონის აუზის ჯუნგლის დაახლოებით მეხუთედი.

როგორც ეკოლოგები აცხადებენ, ქვეყნის ხელისუფლება ეკონომიკურ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე ბუნების დაცვისთვის ზრუნვას.

ამ ახალი მონაცემების განმარტებისას, ბრაზილიის მთავრობის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ამ რეგიონებს ახლა უფრო აქტიურად აკვირდებიან კოსმოსური თანამგზავრებიდან და შეიქმნა ბრაზილიის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ბუნებისდაცვითი პარკი.

ეკოლოგები გამოთქვამენ შეშფოთებას იმის თაობაზე, რომ ამაზონის ჯუნგლის ფართობის შემცირების შედეგად, ეს გიგანტური მდინარე თვითონ გახდება გარემოს გაჭუჭყიანების წყარო, რადგან სულ უფრო მეტად მცირდება იმ მცენარეთა რიცხვი, რომლებიც ნთქავენ მავნე გაზს.

ამაზონის ტყეებს ხშირად უწოდებენ „პლანეტის ფილტვებს".

ერაყში მოკლეს ნავთობის სამინისტროს გენდირექტორი

ერაყის პოლიციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ალი ჰამიდი მოკლეს მის სახლთან, როცა იგი სამსახურში წასვლას აპირებდა.

რეიტერის სააგენტოს თანახმად, ალი ჰამიდს სამინისტროში ეკავა გენერალური დირექტორის პოსტი.

იგი თავისავე ავტომობილში ჩაცხრილეს დილის 8 საათზე, ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ერაყში მოთარეშეები კლავენ მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოხელეებს.

ამავე დროს, ბაღდადის მახლობლად ააფეთქეს ნავთობსადენი.

ბაღდადიდან ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ბაქუბში კი ორი პოლიციელი აფეთქდა ნაღმზე.

როგორც მამომხილველები აღნიშნავენ, ერაყელმა მოთარეშეებმა გააქტიურეს თავდასხმები ქვეყნის უშიშროების ძალების წარმომადგენლებსა და სამთავრობო ობიექტებზე, მას შემდეგ, რაც ერაყის ახალი ადმინისტრაცია აპრილში შეუდგა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

მოთარეშეთა თავდასხმებისა და კამიკაძეთა მიერ განხორციელებული აფეთქებების შედეგად უკვე დაიღუპა 400-ზე მეტი ადამიანი.

№ 118. პარასკევი, 20 მაისი, 2005 წელი.

ყველაფერი, ტენდერი კონკურსი!

ქალაქ ბათუმის ზღვისპირა ზოლის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით პლაჟების მონაკვეთების იჯარით გაცემის მეორე ტურის საკონკურსო პირობები

1. შესავალი

საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისა და პლაჟებზე მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ქ. ბათუმის მთავრობის 2005 წლის 17 მაისის №81 დადგენილების შესაბამისად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსის მეორე ტურს ბათუმის პლაჟების მონაკვეთების იჯარით გაცემაზე.

2. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარება და პლაჟებზე მომსახურების გაუმჯობესება, რისთვისაც გათვალისწინებულია პლაჟის დაყოფა 100–200 გრძივ მეტრ მონაკვეთებად (სექტორებად) და მათი გაცემა იჯარით 5 (ხუთი) წლის ვადით.

3. ინფორმაცია საიჯარო ნაკვეთის შესახებ

პლაჟის ნაკვეთების (სექტორების) მდებარეობა: საიჯარო ნაკვეთები განთავსებულია ბათუმის პლაჟის პირობითად დაყოფილ სექტორებში;

სექტორის ფართობი: 3500-დან 8500 კვ.მ-მდე (პლაჟის სიგანის მიხედვით).

თითოეულ სექტორში იჯარით გასაცემი ნაკვეთის ფართობი – 200 კვ.მ;

ნაკვეთების გაცემის ფორმა: კონკურსი;

ნაკვეთების სარგებლობის ფორმა: იჯარა;

ნაკვეთების გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) – პლაჟებზე მომსახურების ობიექტების განთავსება;

ნაკვეთის სარგებლობის ნორმატიული ფასი: 1 კვ.მ-ზე წლიური 1,05 ლარი, სულ 210 ლარი წელიწადში.

4. საკონკურსო პირობები

კონკურსის ძირითადი პირობაა სექტორის სრულფასოვანი მომსახურება, რომელშიც განთავსებულია საიჯარო ფართი. საპლაჟე ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით პრეტენდენტთა მიერ სავალდებულოა საკონკურსო სექტორების უზრუნველყოფა საპლაჟე ინვენტარით, ავეჯითა და მოწყობილობებით, კერძოდ: შეზლონგებით (მინიმუმ 36 ცალი), ქოლგებით (მინიმუმ 18 ცალი), გამოსაცვლელი კაბინებით (მინიმუმ 4 ცალი), სამზაპეებით (მინიმუმ 2 ცალი), სანაგვე ყუთებითა (მინიმუმ 4 ცალი) და კონტეინერებით (მინიმუმ 2 ცალი). შესაძლებელია აგრეთვე აერარიუმის, სოლარიუმის, ბავშვთა და სპორტული მოედნების მოწყობა.

გამარჯვებული პრეტენდენტი (შემდგომში მოიჯარე-ოპერატორი) ვალდებულია დაასუფთაოს მასზე განპირობებული სექტორის მთელი ტერიტორია, არ შექმნას დისკომფორტული ხმოვანი ფონი.

გამარჯვებული პრეტენდენტები (შემდგომში მოიჯარეები) იღებენ ვალდებულებას, რომ უზრუნველყონ:

- პროექტების წარმოდგენა და ქალაქის არქიტექტურულ სამსახურში სათანადო შეთანხმების შემდეგ ერთიანი გენგეგმის მიხედვით მათი რეალიზება, შესაბამისად საექსპლუატაციოდ მზადყოფნა 2005 წლის 1 ივლისისათვის;
- სექტორების გამოჯვნა ასაკეცი ბილიკების საშუალებით; თითოეულ სექტორზე დასაშვებია:
- ანაკრები კონსტრუქციების საპლაჟე ინვენტარის შესანახი მოდულური სეზონური კიოსკების განთავსება;
- კვების მზა პროდუქტებისა და გამაგრილებელი სასმელების სარეალიზაციოდ არასტაციონარული ანაკრები კონსტრუქციების ფარდულის და მოძრავი მოწყობილობა-დანადგარების განთავსება.

დამსვენებელთა მომსახურება დასაშვებია მხოლოდ ერთჯერადი გამოყენების ჭურჭლით;

5. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:

- პრეტენდენტის მიერ საკონკურსო სექტორში მაქსიმალური ინვესტიციის განთავსების შემოთავაზება, რომელიც არ უნდა იყოს 5 000 ლარზე ნაკლები.
- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, საპლაჟე სერვისის გაუმჯობესების მიზნით შემოთავაზებული სხვა პირობები და მომსახურების სახეები, რომელიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

6. კონკურსში მონაწილეობის პირობები

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ფიზიკურ და/ან იურიდიულ პირებს, რომლებიც იღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებენ ხელშეკრულებას ქალაქ ბათუმის მთავრობასთან;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) პრეტენდენტის განაცხადი;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები ცალკე დალუქულ კონვერტში;

გ) ქალაქ ბათუმის მთავრობის საანგარიშსწორებო ანგარიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტურებელი საბუთი;

დ) პირადობის მოწმობის მონაცემები;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ქსეროასლებს.

ზ) საპროექტო წინადადება – ესკიზური ვარიანტი.

კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.

პირველი წლის საიჯარო ქირის ოდენობა 1 კვ.მ-ზე წელიწადში 1,05 ლარის გათვალისწინებით შეადგენს 210 ლარს, ხოლო შემდეგ წლებში იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური საიჯარო ქირის ოდენობით.

საიჯარო ქირის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველი საანგარიშო წლის მეექვსე თვის ბოლოს.

იჯარის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ, მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია ხელშეკრულების გაგრძელება 5 წლით ან ახალი საიჯარო ურთიერთობების გამოცხადების შემთხვევაში თანაბარი პირობების არსებობისას მოიჯარეს ეძლევა უპირატესი უფლება სხვა კონკურენტებთან შედარებით. საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მოიჯარე ათავისუფლებს პლაჟის დაკავებულ ტერიტორიას.

პრეტენდენტს კონკურსში მონაწილეობისათვის მთავრობის მიერ მითითებულ ანგარიშზე შეაქვს საწყისი პირველი წლის საიჯარო ქირა 210 ლარის ოდენობით, რომელიც გამარჯვებულ პრეტენდენტს ჩაეთვლება პირველი წლის გადასახდელ საიჯარო ქირაში, ხოლო დამარცხებულს (დამარცხებულებს) – ერთი კვირის ვადაში დაუბრუნდებათ იმავე წესით.

გამარჯვებულ პრეტენდენტთან, რომელიც შემდგომში მოიხსენიება როგორც მოიჯარე, მთავრობა ერთი თვის ვადაში გააფორმებს იჯარის ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) და წინამდებარე პირობების შესაბამისად გადასცემს საიჯარო ფართს. ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, გამოცხადებული კონკურსის პირობების და შემოგანილი განაცხადის საფუძველზე.

ოპერატორს ხელშეკრულებით დაეკისრება საკონკურსო პირობებისა და აღებული ვალდებულების შესრულება. ხელშეკრულების დარღვევა შეიძლება გახდეს მისი გაუქმების საფუძველი.

ხელშეკრულების შესრულებისას ოპერატორს არ შეუძლია თავისი უფლებები გადასცეს სხვა იურიდიულ ან ფიზიკურ პირს.

ხელშეკრულების შესრულებაზე პასუხისმგებელია მხოლოდ მოიჯარე.

მთავრობა არ ჩაერევა ოპერატორის საქმიანობაში, მისცემს მას საშუალებას, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ოპერირებისა და სხვა საკითხები.

მთავრობა იღებს ვალდებულებას – ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ გაასხვისებს, ან რაიმე სხვა ფორმით არ გადასცემს სხვა პირს, პლაჟის იმ სექტორს, რომელიც ოპერატორს (მოიჯარეს) გადაეცემა მოვლა-პატრონობის უფლებით.

განაცხადი უნდა შევიდეს შემდეგ მისამართზე: **ქ. ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, შ. რუსთაველის ქ. № 1, ტელ: 7-26-45.**

სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურსო პროცესში მონაწილეობისათვის.

განაცხადების მიღება შეწყდება **2005 წლის 24 ივნისს 17 სთ-ზე.**

კონკურსზე წარმოდგენილი მასალების საჯარო განხილვა მოხდება **2005 წლის 27 ივნისს 14 სთ-ზე.**

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა ,,აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102.
მიმღები – ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.
საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.
ანგარიშსწორების ანგარიშის № 000142402.''

ქალაქ ბათუმის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ზღვისპირა პარკში ღია ტიპის სეზონური სავაჭრო ფარდულების განთავსებისათვის მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემის საკონკურსო პირობები

1. შესავალი

საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ქ. ბათუმის მთავრობის 2005 წლის 17 მაისის №82 დადგენილების სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ზღვისპირა პარკში მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემაზე.

2. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია საკურორტო სეზონზე გამაგრილებელი სასმელებით, ნაყინითა და სხვა საკურორტო საქონლით ორგანიზებული ვაჭრობა, რისთვისაც გათვალისწინებულია ღია ტიპის სეზონური სავაჭრო ფარდულების განთავსებისათვის მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემა 2 წლის ვადით.

3. ინფორმაცია საიჯარო ნაკვეთის შესახებ

მიწის ნაკვეთების მდებარეობა: საიჯარო ნაკვეთები განთავსებულია ბათუმის ზღვისპირა პარკში;

მიწის ნაკვეთის ფართი: 4 კვ.მ-მდე.

მიწის ნაკვეთის გაცემის ფორმა: კონკურსი

მიწის ნაკვეთის სარგებლობის ფორმა: იჯარა;

მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) – ზღვისპირა პარკში სეზონური მსუბუქი კონსტრუქციის ფარდულის განთავსება;

მიწის ნაკვეთის სარგებლობის ნორმატიული ფასი: 1 კვ.მ-ზე წლიური 25 ლარი, სულ 100 ლარი წელიწადში.

4. საკონკურსო პირობები

კონკურსის ძირითადი პირობაა დამსვენებელთა სრულფასოვანი მომსახურება.

გამარჯვებული პრეტენდენტი (შემდგომში მოიჯარე-ოპერატორი) ვალდებულია დაასუფთაოს მასზე განპირობებული სექტორის მთელი ტერიტორია, არ შექმნას დისკომფორტული ხმოვანი ფონი.

გამარჯვებული პრეტენდენტები (შემდგომში მოიჯარეები) იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ:

- პროექტების წარმოდგენა და ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურში სათანადო შეთანხმების შემდეგ მათი რეალიზება, შესაბამისად საექსპლუატაციოდ მზადყოფნა 2005 წლის 1 ივლისისათვის;

თითოეულ მიწის ნაკვეთზე დასაშვებია მხოლოდ მსუბუქი კონსტრუქციის ფარდულის განთავსება.

დამსვენებელთა მომსახურება დასაშვებია, მხოლოდ ერთჯერადი გამოყენების ჭურჭლით;

5. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:

- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, სერვისის გაუმჯობესების მიზნით შემოთავაზებული სხვა პირობები, რომელიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

6. კონკურსში მონაწილეობის პირობები

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ იურიდიულ პირებს, რომლებსაც რეგისტრირებული აქვთ სავაჭრო ნიშანი და აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებენ ხელშეკრულებას ქალაქ ბათუმის მთავრობასთან;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) პრეტენდენტის განაცხადი;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები ცალკე დალუქულ კონვერტში;

გ) ქ. ბათუმის მთავრობის საანგარიშსწორებო ანგარიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტურებელი საბუთი;

დ) იურიდიული პირის მონაცემები;

ე) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ქსეროასლებს.

ვ) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ზ) საპროექტო წინადადება – ესკიზური ვარიანტი.

კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.

პირველი წლის საიჯარო ქირის ოდენობა 1 კვ.მ-ზე წელიწადში 25 ლარის გათვალისწინებით შეადგენს 100 ლარს, ხოლო შემდეგ წლებში იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი საიჯარო ქირის ოდენობით.

საიჯარო ქირის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველი საანგარიშო წლის მეექვსე თვის ბოლოს.

პრეტენდენტს კონკურსში მონაწილეობისათვის მთავრობის მიერ მითითებულ ანგარიშზე შეაქვს საწყისი პირველი წლის საიჯარო ქირა 100 ლარის ოდენობით, რომელიც გამარჯვებულ პრეტენდენტს ჩაეთვლება პირველი წლის გადასახდელ საიჯარო ქირაში, ხოლო დამარცხებულს (დამარცხებულებს) – ერთი კვირის ვადაში დაუბრუნდებათ იმავე წესით.

გამარჯვებულ პრეტენდენტთან, რომელიც შემდგომში მოიხსენიება როგორც მოიჯარე, მთავრობა ერთი თვის ვადაში გააფორმებს იჯარის ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) და წინამდებარე პირობების შესაბამისად გადასცემს საიჯარო მიწის ნაკვეთს. ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, გამოცხადებული კონკურსის პირობების და შემოგანილი განაცხადის საფუძველზე.

ოპერატორს ხელშეკრულებით დაეკისრება საკონკურსო პირობებისა და აღებული ვალდებულების შესრულება. ხელშეკრულების დარღვევა შეიძლება გახდეს მისი გაუქმების საფუძველი.

ხელშეკრულების შესრულებისას ოპერატორს არ შეუძლია თავისი უფლებები გადასცეს სხვა იურიდიულ ან ფიზიკურ პირს.

ხელშეკრულების შესრულებაზე პასუხისმგებელია მხოლოდ მოიჯარე.

მთავრობა არ ჩაერევა ოპერატორის საქმიანობაში, მისცემს მას საშუალებას, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ოპერირებისა და სხვა საკითხები.

მთავრობა იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ გაასხვისებს, ან რაიმე სხვა ფორმით არ გადასცემს სხვა პირს, აღნიშნულ საიჯარო მიწის ნაკვეთებს.

განაცხადი უნდა შევიდეს შემდეგ მისამართზე: **ქ. ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, შ. რუსთაველის № 1, ტელ: 7-26-45.**

სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურსო პროცესში მონაწილეობისათვის.

განაცხადების მიღება შეწყდება **2005 წლის 24 ივნისს 17 სთ-ზე.**

კონკურსზე წარმოდგენილი მასალების საჯარო განხილვა მოხდება **2005 წლის 27 ივნისს 14 სთ-ზე.**

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა ,,ბე'' უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

**აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102.
მიმღები – ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.
საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.
ანგარიშსწორების ანგარიშის № 000142402.**

ქალაქ ბათუმში ერას მოედნის კეთილმოწყობისა და განაშენიანების პროექტის საკონკურსო პირობები

ქ. ბათუმის მთავრობა 2005 წლის 17 მაისის №83 დადგენილებით აცხადებს კონკურსს ერას მოედნის კეთილმოწყობისა და განაშენიანების პროექტის შემუშავებაზე.

I. კონკურსის პირობები

1. ორგანიზაგორი.

კონკურსი ტარდება ქ. ბათუმის მთავრობის მიერ.

2. მონაწილეები.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ ნებისმიერ ფიზიკურ და/ან იურიდიულ პირს.

3. კონკურსის ორგანიზება.

კონკურსი ტარდება ანონიმური წესით. თუ პირველი ტურის შემდეგ არ გამოვლინდა გამარჯვებული, შემდეგი ტური ჩაგარდება ღიად. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია გაიმართოს მოლაპარაკებები კონკურსანტებთან.

4. კონკურსის ამოცანა და მისი გადაჭრის გზები.

კონკურსის ამოცანაა ქალაქ ბათუმის ისტორიული ნაწილის სახელმწიფოებრივი დაცვის ზონაში განთავსებულ საკონკურსო ტერიტორიაზე განაშენიანების ტრადიციული ქსოვილის აღდგენა და საზოგადოებრივად აქტიური სივრცის ჩამოყალიბება.

ამ მიზნით საკონკურსო ტერიტორია დაყოფილია ფუნქციონალურ ზონებად, რომელთაგან ერთი („A") განკუთვნილია კეთილმოწყობისათვის და დარჩება საზოგადოებრივ სარგებლობაში, ხოლო მეორე („B") – განკუთვნილია განაშენიანებისათვის და შესაძლებელია გაიცეს საკუთრებაში. მე-2 ზონის მოშენების ხასიათი უნდა ითვალისწინებდეს ისტორიულ კონტექსტსა და მიმდებარე განაშენიანების მასშტაბს; ამავე დროს პირველ სართულებზე შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების განთავსება.

5. საკონკურსო პროექტების შეფასება, პრემირება.

5.1. საკონკურსო სამუშაოების შეფასება ხდება ჟიურის მიერ.

5.2. ორი საუკეთესო ნამუშევარი დაჯილდოვდება ფულადი პრემიით.

- პირველი პრემია 7000 (შვიდი ათასი) ლარი;
- მეორე პრემია 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი;
- ჟიურის გადაწყვეტილება საბოლოოა.

6. საკონკურსო მასალების შემადგენლობა.

კონკურსის მონაწილეებმა საინვესტიციო წინადადებებთან ერთად უნდა წარმოადგინონ გრაფიკული მასალა:

- დასაგეგმარებელი ტერიტორიის გეგმა (მასშ. 1 : 500);
- სართულების გეგმები (მასშ. 1 : 200);
- განშლები (მასშ. 1 : 200);
- დამახასიათებელი ფრაგმენტები, ჭრილები და სხვა, ნებისმიერ მასშტაბში;
- სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის სქემა (მასშ. 1 : 1000);
- განმარტებითი ბარათი.

7. საკონკურსო მასალების გაცემა.

საკონკურსო მასალები კონკურსში მონაწილეებს გადაეცემათ 2005 წლის 25 მაისიდან ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურში.

მისამართი – ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25

ქ. ბათუმის მთავარი არქიტექტორი

ტელეფონი 7-26-37.

8. საკონკურსო ნამუშევრების შეფასებისა და გადაწყვეტილების გამოსაგანად შეიქმნას ჟიური შემდეგი შემადგენლობით:

ვახტანგ ლეკავა – არქიტექტორი, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის თანაშემწე რეფორმების დარგში (ჟიურის თავმჯდომარე);

მურმან ბერიძე – ქ. ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელი;

გელა ვასაძე – ქ. ბათუმის მერის მოადგილე;

გიორგი რამიშვილი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქალაქმშენებლობის დეპარტამენტის უფროსი;

თეიმურაზ ახვლედიანი – ქ. ბათუმის მთავარი არქიტექტორი;

ოთარ რუსიეშვილი – ქ. ბათუმის მთავარი არქიტექტორის მოადგილე;

გოჩა გარუჩავა – ქალაქმშენებლობის დეპარტამენტის ქალაქგეგმარებისა და არქიტექტურული საქმიანობის სამმართველოს უფროსი;

გიორგი ბაღოშვილი – საქართველოს არქიტექტორთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე;

ვახტანგ ღლონტი – საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე;

რუსუდან დოლიძე – საქართველოს არქიტექტორთა კავშირის აჭარის ორგანიზაცია (ჟიურის მდივანი).

9. გარანტიები.

კონკურსი ჩაგარდება მინიმუმ ორი საკონკურსო პროექტის წარმოდგენის შემთხვევაშიც.

– საკონკურსო მასალების წარმოდგენა უნდა მოხდეს 2005 წლის 30 სექტემბრამდე ქალაქ ბათუმის მთავარ არქიტექტორთან;

– კონკურსის შედეგების გამოქვეყნება მოხდება 2005 წლის 10 ოქტომბრამდე.

გამარჯვებული საკონკურსო მასალები რჩება ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურში.

– არაპრემირებული პროექტები უბრუნდებათ ავტორებს დადგენილი წესით.

II. **შენიშვნა.**

1. წარმოდგენილ საპროექტო მასალებზე აღინიშნება ხუთნიშნა კოდი, რომელიც უნდა დაისვას საკონკურსო მასალის ყველა ერთეულზე ზედა მარჯვენა კუთხეში (H=10მმ).

2. საკონკურსო მასალებს თან ერთვის დალუქულ კონვერტში მოთავსებული მონაცემები კონკურსის მონაწილეთა შესახებ და სხვა რეკვიზიტები.

3. საკონკურსო გრაფიკული მასალების შესრულება შეიძლება ნებისმიერი მანერით.

4. საკონკურსო მასალების წარმოდგენა ხდება ავტორთა მიერ ან დაიგზავნება ფოსტით ქ. ბათუმის მთავარი არქიტექტორის სახელზე, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე;

5. მასალების ფოსტით გამოგზავნის შემთხვევაში ერთდროულად იგზავნება ლეპეში ქ. ბათუმის მთავარი არქიტექტორის სახელზე.



ქ. ბათუმის მთავრობა.

არქიტექტურული კონკურსი

ქ. თბილისის მერია და საქართველოს არქიტექტორთა კავშირი აცხადებს აღგილობრივი მნიშვნელობის კონკურსს ქ. თბილისში სააკაძის მოედნის ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობისა და შრომის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე სავაჭრო და საოფისე შენობის ესკიზურ პროექტზე.

კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია, საკონკურსო პროგრამა და პირობები გაიცემა 2005 წლის 11-დან 24 მაისამდე, საქართველოს არქიტექტორთა კავშირში. აღმაშენებლის გამზირი 89/24, III სართული, ნუგზარ დედუჩავასთან.

ტელეფონი: 22-74-02, 96-86-58

ფაქსი: 95-99-87 ელ-ფოსტა: archunion_geo@yahoo. com

GTZ-ის პროექტი „საქართველოში ღვინის ხარისხის სისტემის და მეღვინეობის მარეგულირებელი ორგანოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა" აწყობს ღვინის სადეგუსტაციო სემინარს 30.05-დან 01.06-ის ჩათვლით. მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს, რომელსაც განათლება მიღებული აქვს მეღვინე-ტექნოლოგის ან მომიჯნავე სპეციალობაში და/ან აქვს პროფესიით მუშაობის არანაკლებ ორი წლის სტაჟი.

დაინტერესებულმა პირებმა გამოაგზავნონ CV ქართულ ენაზე, 2005 წლის 25 მაისამდე შემდეგ მისამართზე:

სოფლის მეურნეობის სამინისტრო. კოსტავას ქ. 41, ოთახი 419.

Tel/Fax: 920795, Tel: 334327, afc_georgien@dsi.ge

0123 თბილისი, საქართველო.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ლიტვის მთავრობის მიერ გამოყოფილი გრანტით ბავშვთა სახლებისათვის სხვადასხვა ინვენტარის შეძენის მიზნით გამოაცხადა დახურული ტენდერი. **ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ნიკეა"**, რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება.

№ 118. პარასკევი, 20 მაისი, 2005 წელი.

◎ ნამყო

ვიქტორ პეტელინი

მიხეილ შოლოხოვის შეხვედრები იოსებ სტალინთან



სტალინი ლაპარაკობდა ნელა, დინჯად, ქართული აქცენტით, მაგრამ იმდენად დამაჯერებლად, რომ შოლოხოვს მოეჩვენა, თითქოს გლეხის კარ-მიდამოს ბოსტანში მიშვებულ რუს კალაპოტში აგდებსო.

– დიახ, ამხანაგო შოლოხოვ, უნდა იცოდეთ, რომ გორკის ჰქონდა შეცდომები... 1917 წელს, ოქტომბრის რევოლუციის წინ, გაზეთში „რაბოჩიი პუტ“ გამოვაქვეყნე სტატია, რომელშიც მას პირდაპირ ვუწოდე რენე ბატი და აღვუთქვი, რომ სრულ დავიწყებას მიეცემა ისტორიის ანალიებში. მის მიერ რედაქტირებულ გაზეთში „ნოვაია ჟიზნ“ გამოქვეყნებულ საკუთარ წერილებში იყო უამრავი უხეშობა, შეცდომა, განსაკუთრებით სტატიაში „დუმილი არ შემიძლია“, ბევრი ყალბი ლოზუნგი, ტყუილი... მაგონდება აურთვე „რუსი გლეხობის შესახებ“ წერილების ციკლი, რომელიც 1922 წელს რუსეთიდან გამგზავრებისთანავე გამოქვეყნდა. გორკი რუს ხალხს უწოდებს „ულმობლად სასტიკს“, ფონებაჩლუნგს, ცოდვილს, ანარქიზმს რომ ესწრაფვის, კიცხავს რუს ხალხს ზარმაცობისთვის, ყოველნაირი ველურობისა და უმეცრებისთვის, რომ პაგიკ არ მიაგებს პიროვნებას, უგულებელყოფს მოქალაქის უფლებებს, არ გააჩნია სამართლიანობის გრძნობა. იგი სხვანაირი ვერ იქნებოდა, რადგან ცხოვრობდა სრული უფლებობის, ადამიანის ჩაგვრის, სამარცხვინო სიცრუისა და მხეცური სისასტიკის პირობებში. დიახ, ამბობდა გორკი, მან შეინარჩუნა უამრავი ადამიანური გრძნობა და ჯანსაღი გონიერება, მაგრამ ძირითადად არის ასეთი, ცუდი. და ამაში ბრალი მიუძღვით ბოლშევიკებს, სოციალისტებს, მარქსისტებს, რომლებსაც იგი უწოდებდა „ჭკუაზე შეშლილ დოგმატიკოსებსა“ და „უსინდისო ავანტიურისტებს“, მათ შორის ლენინსაც, ტროცკისაც, სტალინსაც... ლენინს უნდოდა გამოსვლა გორკის წინააღმდეგ, მაგრამ მალე ამ სტატიების შემდეგ წერილი გამოუგზავნა ბუხარინს, რომელთანაც იმ დროს ჩვენ კარგი ურთიერთობა გვქონდა. გორკი წერდა: „სიმკაცრის საკითხი ჩემი მგანჯველი საკითხია“. მან ვერანაირად ვერ შეძლო ამისგან თავის დაღწევა. ამთანავე, ჩამოაყენა რამდენიმე დადებითი პროგრამა, რომელიც თითქოს ბოლშევიკებთან შერიგების საშუალებას აძლევდა. „საბჭოთა ხელისუფლება – ეს არის ისტორიულად გამართლებული ხელისუფლება“. აი, რა იყო ჩვენთვის მთავარი. ლენინმა ამ წერილებს საძაგლობა უწოდა, მაგრამ გორკის წინააღმდეგ სტატიის დაწერას მაშინ არ შედგომია იმის გამო, რომ გორკიმ საბჭოთა ხელისუფლებას ისტორიულად გამართლებული ხელისუფლება უწოდა. ჩვენთვის იმ დროს მისგან ამაზე უკეთესი არც არაფერი გვინდოდა. არ იკითხავთ შედეგს? გორკიმ აღიარა თავისი შეცდომები. ახლა იგი სულ სხვაგვარად ფიქრობს და წერს. თქვენ, ამხანაგო შოლოხოვ, წაგიკითხავთ მისი სტატია „თუ მგერი არ ნებდება, მას სპობენ“?

– არა, ამხანაგო სტალინ – მაგრამ მიმდინარე წლის 15 ნოემბრის „პრავდა“ გადავდე, გზაში თან წავიღებ, მაგარებელში წავიკითხავ.

– გონიერული შეხედულებაა გამოთქმული ამ წერილში. თუ აღრე გორკის ჰუმანიზი იყო სინანულის ტოლფასი, ცოცხალი, ცოდვილი, გასაკოდავებული რუსი ადამიანის თანაბარძალიანი, ამკვიდრებდა გაურკვეველ, ზოგადსაკაცობრიო მორალურ ფასეულობებს, ახლა იგი გვეელინება პროლეტარული ჰუმანიზმის გამომხატველად, ჰუმანიზმი არ შეიძლება იყოს რაღაც ზოგადსაკაცობრიო, არამედ უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ კლასობრივ ჰუმანიზმს. ასე რომ, ამხანაგო შოლოხოვ, სიმკაცრე ხათაბალა რამ არის. მაგრამ ამას ჩვენ დროში ვერსად დაემალები, მიმდინარეობს საზოგადოების, საზოგადოებრივი ცნობიერების გარდაქმნის პროცესი. საჭირო არ არის ჩვენ, ბოლშევიკებს, დაგვაბრალონ „პროლეტარული დესპოტიზმი“, განსაკუთრებით გლეხობისადმი. გლეხმა მოსავალი მოიწია და ინახავს ხორბალს თავის ბეღლებში, ელოდება, თუ როდის დაიწყება შიმშილი ქალაქებში და გაძვირდება პური. ჩვენ ლოდინი არ შეგვიძლია... სულ უფრო სწრაფად იცვლება, ამხანაგო შოლოხოვ, სამეურნეო პოლიტიკა, ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური, გარდაქმნათა არნახული პროცესი, მძაფრი და თითქმის წინასწარგაუჭვრეტელი, თუ რომ ჩვენი პარტია არ ფლობდეს ისეთ ყოვლისმომცველ კომპასს, როგორიც არის მარქსიზმ-ლენინიზმი. 1928 წლის იანვარში მომეჩვენა, რომ ერთი დარტყმით შეიძლებოდა მიგვეღო პური, რომელიც ესოდენ სჭირდებოდა ქვეყანას და რომელიც კულაკებმა გადამალეს. გავემგზავრე ციმბირში – ნოვოსიბირსკში, ომსკში, ბარნაულში – და მოვთხოვე პარტიულ ხელმძღვანელობას, რომ პური ძალის გამოყენებით ამოეღოთ, როგორც „სამხედრო კომუნიზმის“ დროს. მოუქნელი და ურჩი ხელმძღვანელები თავიანთი თანამდებობებიდან მოიხსნენ. პური წამოვიღეთ... მაგრამ პურთან ერთად ცენტრალურ კომიტეტში მოვიდა ელეხებისა და პარტიელების ასობით, ათასობით, ვინ დათვალოს, წერილი, რომლებიც შეიცავდნენ პროტესტს ძალადობის წინააღმდეგ. ჩვენ დავუშვით შეცდომა, დავუჯერეთ მემარცხენე ოპოზიციის ლიდერებს... პიატაკოვი, კრესტინსკი, რადეკი, პრეობრაჟენსკი, ანტონოვ-ოვსეენკო და სხვა მემარცხენეები პირდაპირ მოუწოდებდნენ სოფლად ძალადობისთვის, მიაჩნდათ, რომ ამ ხერხით აღვილად ამოიღებდნენ 150-200 მილიონ ფუთ პურს, რომელიც ესოდენ გვაკლდა ქალაქის მოსახლეობას, არმიის, მუშების, ბავშვების, მოხუცების ნორმალური უზრუნველყოფისათვის... მაგონდება, მაშინვე ვგრძნობდი: მართალი არ არიან ის ამხანაგები, რომლებიც ფიქრობენ, რომ შეიძლება და საჭიროა ბოლო მოეღოს კულაკის მიმართ ზომების გამოყენებას სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მეშვეობით. ვთქვი: ხომ ამოიღე პური, ამით მორჩა ყველაფერი. ეს სამუალება ნამდვილად იოლია, მაგრამ არცთუ ისე ქმედითი. კულაკს, ვამბობდი მე, უნდა მოეპყრო ეკონომიკური წესრიგის ზომებით, რასაკვირველია, საბჭოთა კანონიერების საფუძველზე. საბჭოთა კანონიერება ცარიელი ფრაზა როდია... ასეთი მიდგომა სწორი იყო რამდენიმე წლის წინათ... ახლა ვითარება იცვლება, ამხანაგო შოლოხოვ, მკვეთრად იცვლება.

სტალინი გაჩუმდა, მერე ჩიბუხი გააწყო და კვლავ გააბოლა.

– თქვენთან, ვეშჩენსკაიაში, ბევრი კულაკია? – მოულოდნელად ჰკითხა სტალინმა.

– არა, არცთუ ისე ბევრი. არიან შეძლებული კაზაკები, აქვთ გამართული მეურნეობა, თვითონაც გამრჯენი არიან. შესაძლებელია ზედმეტი მარცვალიც ჰქონდეთ.

– რაგომ არ ჰყიდიან მარცვალს?

– ჰყიდიან, ამხანაგო სტალინ, მაგრამ ამ ფულით ვერაფერს იძენენ. გლეხისთვის ყველაზე საჭირო ხომ არაფერი იყიდება. არ არის ლურსმანი, არც რკინის გადასახურავი, მეურნეობისთვის აუცილებელს თითქმის ვერაფერს იშოვი. ამიტომ ფული მათთვის უბრალო ფარაგინა ქაღალდია... თუკი არის რაიმე, ფასებმა იმდენად აიწია, რომ უბრალოდ მიუწვდომელია. პური იაფი ღირს, ხოლო სოფლისთვის საჭირო საქონელი მეტისმეტად ძვირია. ყველაფერს ცეცხლი უკიდია. აი, როგორი მდგომარეობაა, რის შესახებ პარტიის XV ყრილობაზეც იყო საუბარი.

– იმ ყრილობაზე ყველაფერი კარგი ითქვა, ამხანაგო შოლოხოვ. მთლიანად დავეთანხმე ამხანაგ მოლოგოვს, რომელმაც სწორედ ამ საკითხებზე გაამახვილა გამოსვლა. მიქოიანმაც ილაპარაკა, ბევრიც დაეთანხმა ასეთ მდგომარეობას, ჩვენც ვალდებული ვიყავით გამოგვესწორებინა ქვეყანაში შექმნილი ესოდენ დრამატული ვითარება... ნახეთ, რა ხდება მსოფლიოში... არა მარტო დასავლეთს ვეჩხირებით ყელში, არამედ აღმოსავლეთიც ჩვენ წინააღმდეგ ილაშქრეს... დაძაბული ურთიერთობაა დიდ ბრიტანეთთან, შეგაკეთანია ჩინეთთან ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინიგზაზე, რაღაცით უკმაყოფილია იაპონია, კვლავ მგრულად გვეპყრობა ამერიკა... ამიტომაც არ შეგვიძლია მონურად დამოკიდებული ვიყოთ მარცელის, კვების პროდუქტების მწარმოებლებზე... სოფლის მეურნეობამ ომამდელ დონეს მიაღწია, სამრეწველო წარმოებაში მოწინავე ქვეყნებს 100-150 წლით ჩამოვრჩით. როგორ ფიქრობთ, ამხანაგო შოლოხოვ, შევძლებთ კი დავამტკიცოთ ყველა ჩვენი შინა და გარე მტერი, თუ კიდევ ამასთან კულაკები გადამალავენ თავიანთ ხორბალს და კვლავაც დაატერორებენ საბჭოთა სახელმწიფოს? შეგვიძლია განა შევურიგდეთ ასეთ მდგომარეობას? აი, რაგომ დაიწყო მოლიანი კოლექტივიზაცია... მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა. ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფოს სიკვდილ-სიცოცხლის მღერბლზე ვიყავით.

სტალინი დიდხანს დუმდა, ჩიბუხის გაჩაღება სცადა, მაგრამ მასში მხოლოდ ფერფლი დარჩენილიყო. ჩიბუხდან ფერფლი ნელა გადმოყარა, მერე შიგ ერთი მუჭა თუთუნი ჩაგენა, თვალჩაცეცებული მშერა მიაპყრო შოლოხოვს, თითქოს ამოწმებსო – გაუძლებს თუ არა მის მიერ გამოთქმული აზრების სიძლიერესო. დინჯად სკამზე ჩამოჯდა.

– ვიცი, ამხანაგო შოლოხოვ, რომ წერილის „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“ დაბეჭდვის შემდეგ ბევრი კაბაკი კოლექტივიდან გამოვიდა. როგორ ფიქრობთ, უკან დაბრუნდება კოლმეურნეობიდან გასული საშუალო ჯლეხი?

– ვერ გეტყვით... ზოგი აპირებს უკან დაბრუნებას, ზოგი – არა. განსაკუთრებით ჩვენში, დონზე, საკოლმეურნეო ცხოვრებაში ჩაბმა ძალზე ნელა მიმდინარეობს... მაგრამ კოლმეურნეობას უნდა ჰქონდეს მანქანები, ტრაქტორები, კომბაინები... თუ კოლმეურნეობას მანქანები ეყოლება, მაშინ ისიც ძლიერი იქნება. კოლექტიურ ცხოვრებას ოდითგანვე მიჩვეული არიან...

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 96, 102.

◎ კალათბურთი

...და ნაწვიმარს ჩვარი შლის

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – კალათბურთელ ვაჟთა XIV ეროვნული ჩემპიონატის ფინალური „პლეი-ოფის“ მეოთხე შეხვედრამ ჩვარის თანხლებით ჩაიარა. მიზეზი ბანალურია – გაზაფხულის შაპუნა წვიმის წყალი ვერის ბაღის მიხეილ კეკელიძის სახელობის სპორტკომპლექსის გასარემონტებელი ჭერის გავლით პირდაპირ სარბიელამდე აღწევდა და ერთ ეპიზოდში „ავიამშენის“ გიგანტი ლიდერის – შენგელიას ჯანმრთელობაც კი შეიწირა, რის გამოც დარბაზის თანამშრომლები იძულებულნი იყვნენ არამარტო პაუზებისას მიემართათ მამაპაპური მეთოდისთვის, არამედ იმ დროსაც, როცა მოვლენები მოპირდაპირე კალათის სიახლოვეს ვითარდებოდა. რას ვიზამთ – ბუნება მართლაც რომ მბრძანებელია, ცივილიზებული სამყაროს შესაბამის პირობებში თამაშზე ოცნება კი, ეტყობა, შორეულ პერსპექტივას უკავშირდება. სხვათა შორის, გუშინ ვიღაც გარეწრის მიერ უმოწყალოდ გამეტებული ღუღუ დადიანის დაბადების დღე იყო, რომელმაც საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტობის ხანმოკლე პერიოდში, რომ იტყვიან, სული და გული ჩაექსოვა აღნიშნული დარბაზის კეთილმოწყობის საქმეს. ვითომ, სხვებს არავის უნდა აღლევებდეთ დედაქალაქის ერთ-ერთი სიმბოლოს ბედი?

„ავიამშენი“ – სტუ 90:67 (2:2)

ავიაგორთა სნაიპერი წოწელია მესამე მაგჩში საერთოდ არ გამოჩენილა მოედანზე. სპეციალისტთა და გულშემტკივართა ნაწილმა ივარაუდა, რომ ლევან მოსეშვილმა მას გუშინდელი დუელის წინ დასვენების საშუალება მისცა და არც შემცდარა – ზოჩა მრავლისმნახველმა მწვრთნელმა სასტარტო ხუთეულში გაამწესა და ერთბამად ორი კურდელიც დაიჭირა – იგი პარტნიორთა იერიშებსაც ჩვეული სიზუსტით აგვარგვინებდა და, რაც მთავარია, წარმგებით მეურვეობდა მეტოქის ქარიზმატულ ფიგურას მარკოშვილს, რომელიც სერიის წინა შეხვედრებში ვერავინ შეაჩერა.

მე-14 ეროვნული ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი თსუ

პოლიტექნიკოსთა დამარცხება მნიშვნელოვანწილად ფარქვეშ ბრძოლის პირწმინდად წაგებამაც გამოიწვია, საღაც შენგელია, ბერძენიშვილი და ნინიაშვილი უბრეველ ორმოცაძესთან ერთად აშკარა უპირატესობას ფლობდნენ ოპონენტებთან შედარებით, უკანხაზელთა დაპირისპირებაში კი მხოლოდ ბერიშვილის კარგი თამამით ნიკოლაძესთან და ხოშგარიასთან გამკლავებაა უტოპიად გამოიყურებოდა.

ასეა თუ ისე, საერთო ანგარიში კიდევ ერთხელ გათანაბრდა – 2:2 და ქვეყნის მეოთხე ჩემპიონის ვინაობას, რომელიც გახგზე „ვითას“ (შვიდჯერ), „ბასკოსა“ (ოთხჯერ) და „დინამოს“ (ორჯერ) კვალდაკვალ ავა, დამაგებითი – მეხუთე მაგჩი გამოავლენს. იგი 24 მაისს 18 საათზე დაიწყება. ვინაგროთ, იმ დღეს მაინც არ იწვიმოს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

◎ ცხოვრების ჯანსაღი წესი

დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირის (თავმჯდომარე იოროდი ბეკაშვილი) IV თამაშები. ორი კვირის განმავლობაში სხვადასხვა ორგანიზაციის 470-ზე მეტი წარმომადგენელი 7 სახეობაში ეჯიბრებოდა ერთმანეთს. თამაშების მიზანი იყო საქართველოს სპორტული ორგანიზაციების, ადგილობრივი პროფკავშირული კომიტეტების თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრებს შორის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, სპორტის მასობრიობა. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ საგრძნობლად გაიზარდა თამაშებში მონაწილეთა რაოდენობა. თუ შარშან ანალოგიურ ასპარეზობაში 10 კოლექტივი გამოდოდა, წლეულს მათმა რიცხვმა 34-ს მიაღწია. თამაშების მონაწილეებს დედაქალაქის საუკეთესო ბაზები დათმოთ. ბეჯიბრებებს კვალიფიციური მსაჯები ემსახურებოდნენ.

ბაგირის გადაძალვაში, ცურვასა და მძლეოსნობაში საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ნაკრებმა გაიმარჯვა. ნარდში ტოლი არ ჰყავდათ ისნის მესამე სასპორტო სკოლის თანამშრომლებს, ჭადრაკში პირველ გავიდა ბოლქვაძე (მბიმე წონა, ქუთაისი).

ვარიანში სიახლე ის იყო, რომ ეროვნულ ჩემპიონატში პირველად ქალებმაც იასპარეზეს. საქართველოს კრივის ფედერაცია საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნით ცდილობს ჩვენში ქალთა კრივის დანერგვას. ამჟამად მანდილოსნები 5 წონით კატეგორიაში სცდიდნენ ძალებს. პირველ ადგილებზე გავიდნენ თამარ ჩხუბიანიშვილი (48 კგ. თბილისი), ეთერ ქუმსიაშვილი (52, თბილისი), პოლინა ტალიაშვილი (54, დედოფლისწყარო), სოფიო მამულაშვილი (56, დედოფლისწყარო), ლიანა მედოვევა (66, თბილისი).

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თენგიზ მესხაძემ გვითხრა, რომ სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ თითოეულ წონაში 6-6 საუკეთესო სპორტსმენი წრიული სისტემით შეხვდება ერთმანეთს. გამარჯვებულები ეროვნულ ნაკრებში მოხვდებიან, სვეტლოპოლისა (ივნისი) და მახაჩყალის (სექტემბერი) საერთაშორისო ტურნირებში იასპარეზებენ, ნოემბერში კი მსოფლიო ჩემპიონატზე გამოვლენ, რომელსაც მომავალი ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი პეკინი უმასპინძლებს.

გიორგი გაგუა.

◎ ფეხბურთი

ვამბობთ არმიას, ვგულისხმობთ რუსეთს

რობერტ იქნა, რუსებსაც ეღირსათ ევროპული საკლუბო თასი – იამინისა და სტრელცოვის სამშობლოში უეფას თასით მოსკოველი არმიელები დაბრუნდნენ, რომლებმაც პორტუგალიაში გამართული ფინალური მაგჩი ლისაბონის „სპორტინგს“ მოუგეს – 3:1.

ვერ გეტყვით, შეასრულებს თუ არა სიტყვას ტრიუმფატორთა თავკაცი ვალერი გაზაევი და მოიპარავს თუ არა ულვაშს, მაგრამ ის კი უნდა ვაღიაროთ, რომ ოსმა მწვრთნელმა ჩიენბუულად აითვისა რომან აბრამოვიჩის მილიონება და ისეთი გუნდი შექმნა, რომელმაც ღირსეულად მოიპოვა პრესტიჟული ჯილდო.

შეხვედრის წინ ჩვენს მეზობელ სახელმწიფოში უეფას მისამართით არაერთი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა გადამწყვეტი შეხვედრის მსაჯად სკანდალურად ცნობილი ინგლისელი „შაოსნის“ გრეგ პოლის დანიშვნის გამო, რომელმაც 1999 წელს სლოვენია-რუსეთის შესარჩევ თამაშში მასპინძლები საეჭვო პენალტით დასაჩუქრა და მათი მეტოქე ევროპის ჩემპიონაგის მიღმა დაგოვა.

ამჯერად ბრიგანელს საკუთარი კვალიფიკაციურობასა და, რაც მთავარია, ობიექტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არავისთვის მიუცია. ფინალის გმირად ცსკა-ს ბრაზილიელი ნახევარმცველი დანიელ კარვალიო მოგვევლინა, რომელიც პარტნიორთა (ბერეზუცკი, ეირკოვი, ვაგნერ ლავი) სამივე შედეგიან შეტევაში მონაწილეობდა და სახელმწიფო ნობათიანი არიგებდა ზუსტ გადაცემებს. ეს ყველაფერი შესვენების შემდეგ მოხდა, არადა, | ტაიმში მასპინძლები უკვე აქტიურობდნენ და კანონზომიერადაც დაწინაურდნენ (როჟერიო). თუმცა, როგორც მოგეხსენებათ, იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის.

◎ კრივი

ვარიანის ახალი ხიდი

საქართველოს მოკრივეთა ეროვნულ ჩემპიონატს წლეულს ვარიანში უმასპინძლა. ორთაბრძოლებში ნიკოლოზ იმორაიას და კოტე კუპატაძის გარდა, ყველა უძლიერესმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. ფავორიტებმა თავიანთი უპირატესობა კიდევ ერთხელ დამტკიცეს. წონითი კატეგორიების მიხედვით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ზვიად ხაღური (48 კგ. თბილისი), კობა იაკობიძე (51 ქუთაისი), კახა ლაზაშვილი (54, ვარიანი), კობა ფხაკაძე (57, ქუთაისი), ლაშა ოჩიგავა (60, ფოთი), ლევან ღვამიჩავა (64, ფოთი), კახა ქვანია (69, ფოთი), ანაგოი ქავთარაძე (75, ჭიათურა), დავით წიკლური (თბილისი), ბექა ლობჟანიძე (91, ჯორი), გაგა ბოლქვაძე (მძიმე წონა, ქუთაისი).

ვარიანში სიახლე ის იყო, რომ ეროვნულ ჩემპიონატში პირველად ქალებმაც იასპარეზეს. საქართველოს კრივის ფედერაცია საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნით ცდილობს ჩვენში ქალთა კრივის დანერგვას. ამჟამად მანდილოსნები 5 წონით კატეგორიაში სცდიდნენ ძალებს. პირველ ადგილებზე გავიდნენ თამარ ჩხუბიანიშვილი (48 კგ. თბილისი), ეთერ ქუმსიაშვილი (52, თბილისი), პოლინა ტალიაშვილი (54, დედოფლისწყარო), სოფიო მამულაშვილი (56, დედოფლისწყარო), ლიანა მედოვევა (66, თბილისი).

◎ სპორტულ ორგიტაზე

უჩვეულო ტური

სწორედ ასე შეიძლება ეწოდოს სოფიაში მიმდინარე ბულგარეთისთვის პირველი საერთაშორისო საჭადრაკო სუპერტურნირის მეექვსე პარგიას, რომლითაც, ფაქტობრივად, დაიწყო გამორჩეულ მოჭადრაკეთა დიდი პაექრობის მეორე ნახევარი.

სხვათა შორის, ის ძალზე უიღბლო გამოდგა ტურნირის ლიდერებისთვის – კლასიკურ ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონ ვლადიმერ კრამნიკისა და ინგლისელ დიდოსტაგ მაიკლ ადამსისთვის, აგრეთვე მსოფლიო რეტინგით მეორე მოჭადრაკე (კასპაროვის შემდეგ) ინდოელ ვიში ანანდისთვის. შესაბამისად, ისინი დამარცხდნენ რუსლან პონომარიოვთან (უკრაინა), ვესელინ ტოპალოვთან (ბულგარეთი) და იუდით პოლგართან (უნგრეთი).

ახლა 3,5 ქულით უკვე ფიდეს ვერსიით ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი რუსლან პონომარიოვი ლიდერობს, 3-3 ქულა აქვთ ადამსს, კრამნიკს, პოლგარსა და ტოპალოვს, 2,5 ქულით აუგსაიდერი ანანდი გახდა.

კოფეინიც აიკრძალა

მსოფლიო ანგისადოპინგო სააგენტოს გადაწყვეტილებით კოფეინი დაბრუნეს სპორტსმენებისთვის აკრძალული პრეპარატების სიაში.

შეგახსენებთ, რომ შარშანდელი წლის დასაწყისში ეს ნივთიერება ამოღებული იყო აკრძალულთა სიიდან, მაგრამ სააგენტოს სპეციალისტები მაინც აკვირდებოდნენ კოფეინის ზემოქმედებას სპორტსმენის ორგანიზმზე და მის გაელენას იმ ათლეტების შედეგებზე, რომელთა ანალიზშიც აღმოჩნდა კოფეინის მაღალი შემცველობა.

– სააგენტოს მიერ კოფეინისთვის დოპინგის სტატუსის მინიჭების მიზეზი გახდა მისი მასობრივი გამოყენება ავსტრალიელი სპორტსმენების მიერ, – განაცხადა სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა დევიდ ჰაუმანმა.

ბლოხინს ისევ უჩივიან

ალბათ გახსოვთ, მარგის ბოლოს კიევის სააპელაციო სასამართლომ არ დაკმაყოფილა უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარის ვლადიმერ ლიტვინის სარჩელი ფეხბურთში უკრაინის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელისთვის – ოლეგ ბლოხინისთვის დეპუტატის უფლებამოსილება, რადგან უკრაინის კანონმდებლობით დეპუტატს ეკრძალება რომელიმე სხვა ანაზღაურებად თანამდებობაზე მუშაობა.

ამ საჩივრის გამო ოლეგ ბლოხინმა 16 მარტს განაცხადა მწვრთნელის პოსტიდან გადადგომის შესახებ, მაგრამ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ უარყო ეს თხოვნა. კიევის საპელაციო სასამართლომ კი ნაკრებთან ბლოხინის მუშაობა და უმაღლესი რადას დეპუტატობა არ მიიჩნია შეთავსებად, რადგან იგი მწვრთნელად მუშაობის ხელფასს არ ღებულობს და თანაც ეს საქმიანობა ხელს არ უშლის პარლამენტში მის მოღვაწეობასო.

მაგრამ ქვეყნის უმაღლესი რადას სარეგლამენტო კომიტეტმა აპელაცია შეიტანა უკრაინის უმაღლეს სასამართლოში.

თუ როდის განიხილავენ „ბლოხინის საქმე-2“-ს, ჯერჯერობით უცნობია.

შუმახერს კონტრაქტს უგრძელებენ

მარშალია, ავგორბოლის „ფორმულა-1“ წლევანდელ სეზონში ჯერჯერობით წარუმატებლად ასპარეზობს იგალეური „ფერარის“ საჯინიბო და მისი გერმანელი პილოტი, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი, მას მხოლოდ 10 ქულა აქვს და 43 ქულით ჩამორჩება ახლანდელ ლიდერს – ფერნანდო ალონსოს, მაგრამ „ფერარი“ მაინც აპირებს შუმახერ-უფროსთან კიდევ ერთი სეზონით კონტრაქტის გაფორმებას და 2007 წელში მისთვის 30 მილიონი ევროს გადახდას.

გახდება თუ არა „წითელი ბარონი“ მსოფლიო ჩემპიონი მერვედ – ცოტა სეჭვია, მაგრამ ჯერჯერობით ხომ მხოლოდ 5 ეტაპია გავლილი და კიდევ რჩება 14 რბოლა.

◎ წყალბურთი

მეორე ადგილზე გავიდნენ



მარიუპოლში დამთავრდა წყალბურთელთა უკრაინის დია ჩემპიონატი. ფინალურ ეტაპზე 6 გუნდი მონაწილეობდა. 32 ქულით ოქროს მედლები მასპინძლებმა მოიპოვეს. გამარჯვებულებს 6 ქულით ჩამორჩა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, რომელსაც ვერცხლის მედალი ხვდა. მესამე ადგილზე 25 ქულით ლვოვის „დინამო“ გავიდა.

გაანცხადება

საქართველოს ენერგეტიკის აკადემიამ შეაჯამა კონკურსის შედეგები. ენერგეტიკის სფეროში საუკეთესო ნამუშევრებისთვის ენერგეტიკის აკადემიის 2005 წლის პრემიები მიანიჭა და გადასცა დიპლომები:

– ელიზბარ ერისთავს, დემურ ჩომახიძეს, პაატა ცინცაძეს სამეცნიერო-პრაქტიკული ნაშრომისთვის **„ენერგეტიკის რეგულირების საფუძვლები“.**

– მალხაზ ყიფშიძეს, თენგიზ ჯიმკარიანს, გია არაბიძეს, გურამ ახალაიას სახელმძღვანელოსთვის **„საქანის დანადგარები“.**

ვულოცავთ ენერგეტიკის აკადემიის პრემიის ლაურეატებს და ვუსურვებთ შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს.

საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდიუმი.

შპს „თბილისის მეტროპოლიტენის“ ადმინისტრაცია, ობიექტების დაცვის სამსახურის კადრებით დაკომპლექტების მიზნით, აცხადებს კონკურსს

აღმინისტრაცია მეტროპოლიტენის ობიექტების დაცვის სამსახურის კადრების დაკომპლექტების მიზნით აცხადებს კონკურსს.

მიიღებიან 22-დან 45 წლამდე მოქალაქეები. სასურველია მათ გააჩნდეთ სათანადო გამოცდილება აღნიშნულ სფეროში. მსურველებმა 23 მაისამდე წარმოადგინონ შემდეგი საბუთები (კადრების აპარატში):

1. განცხადება გენერალური დირექტორის სახელზე;
2. ავგობიოგრაფია;
3. პირადობის მოწმობა;
4. სამხედრო ბილეთი;
5. შრომის წიგნაკი.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

92-28-77 (კადრების განყოფილება)
877-44-79-09 – დაცვის სამსახური.
მისამართი: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი № 2

ადმინისტრაციული შენობა.

განცხადება ტენდერის ჩატარებაზე

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საქვეუწყებო სტატუსი მეურნეობის დეპარტამენტის 29 მაისს გამოქვეყნებულ განცხადებაში ცვლილებაა – სატენდერო დოკუმენტაციის შეტანის საბოლოო ვადა 27 მაისის 15 სთ-მდე.

№ 118. პარასკევი, 20 მაისი, 2005 წელი.

მრავალჟამიერ



70 წლის ჯემალ ჭკუასელს

ხარ არმადანი,
უძველესი ჩვენი მამული,
„კრიმანჭულივით“
შენს სიმდერებს შვენის სალბუნი.

ამ მთებში გაჩნდი,
ვერ წაუსვალ ამ ქედებს ვერსად,
ალილუია —
სიყვარულით აქებდე ღმერთსა.

მოწმეა ვაზი,
მუხა, ნამეი, რთხმელა, ურთხმელი,
შენ მოიპოვე სიყვარული
ლოცვა-კურთხევით.

ვითარ „ათმალი“
გშვენის ჩანგი ათსიმიანი.
ამაღლებულხარ გალობითა —
კაცი მზიანი.

აჯანუებაა სიმდერისა
„ერისიონი“,
მდერის არაგვი, მდერის მტკვარი,
მდერის რიონი.

სიმდერის მტრებმა, ეს ცხოვრება
არმად გალიეს,
წავლენ ბოროტნი,
შენ დარჩები, — მრავალჟამიერ.

ჯანსულ ჩარკვიანი
2005 წლის 19 მაისი.

ბილოცვა აკადემიკოს ნ. ქარქაშაძეს

საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის რექტორატი და პედაგოგიური კოლექტივი გულწრფელად ულოცავს უნივერსიტეტის ყოფილ რექტორს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძეს დაბადების 70 წლის იუბილეს და უსურვებს დღეგრძელობას, წარმატებებს სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის რექტორატი და პედაგოგიური კოლექტივი.

ყურადღება!

ჟურნალ „ცენტრალნაია აზია ი კავკაზ“-ის (სოციალურ-პოლიტიკურ კვლევათა ცენტრი, შვედეთი) მკითხველებს

ჟურნალ „ცენტრალნაია აზია ი კავკაზ“-ის (სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან პროფესორები გიული ალასანია და ვლადიმერ პაპავა) წარმომადგენელი საქართველოში ჟურნალის ყველა მკითხველს სთხოვს (ვინც აქამდეც უფასოდ იღებდა აღნიშნულ ჟურნალს), 2005 წლის მე-2 ნომრის მისაღებად მოაკითხოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ბიბლიოთეკას. ამ ნომერში გამოქვეყნებულია ქართველი ავტორების მ. მაცაბერიძის, თ. ფანჯიკიძის, ვ. დოლიძის, ე. გახოკიძის, მ. კომახიას სტატიები.

ჟურნალში სათანამშრომლოდ საპონორარო ანაზღაურებით ვიწვევთ აგრეთვე კვალიფიციურ ავტორებს.

ტელ: 99-93-03.

საეკლესიო კალენდარი

ღირსი იოანე ზედაზნელი

მისი ხსენების დღეა 20 მაისი

ღირსმა იოანე ზედაზნელმა სასულიერო განათლება ანტიოქიაში მიიღო. მისი სიმდაბლე, მარხვა, მლოცველობა, ცრემლი და ვედრება სათნო ეყო უფალს და თავის ერთგულ მსახურს მიპმადლა სენთა კურნებისა და ეშმაკთა განდევნის ნიჭი.

იოანე ზედაზნელმა 12 ბერი გამოარჩია და საქართველოს ტერიტორიაზე დაიწყო ქრისტეს სჯულის განმტკიცება. წმიდა მამამ მოილოცა ყველა ის ადგილი, სადაც მოციქულთა სწორმა ნინომ იქადაგა.

წმიდა იოანემ გადაწყვიტა ზედაზენზე დამკვიდრებულიყო სამოღვაწეოდ, ამგვარად ზედაზნის მთა განდეგილთა სამყოფელი შეიქნა. ცოტა ხნის შემდეგ კი თორმეტი ასურელი მამიდან — დავითი, ანტონი, იოსები, სტეფანე, ზენონი და აბიბოსი კახეთში გაემგზავრნენ საქადაგებლად, შიო, პიროსი, მიქაელი, თადეოზი და ისიდორე ქართლში წავიდნენ, ხოლო ისე — წილკანში.

მოწაფეების გასტუმრების შემდეგ იოანე ისევ ზედაზენზე დაბრუნდა და ჩვეულ მოღვაწეობას შეუდგა. ზედაზენი უწყლო ადგილი იყო. წმიდა იოანემ უფალს სთხოვა წყაროს აღმოცენება. სახიერმა უფალმა შეისმინა მისი ვედრება და მთის მწვერვალზე მაკურნებელი წყარო აღმოაცენა.

წმიდა იოანეს ლოცვით მრავალი სასწაული აღსრულა... ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ აღსასრულის მოახლოება ეუწყა... მისი საფლავი არის მღვიმეში, წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიაში, ტაძრის სამკვეთლოსთან.

მოამზადა
გიული ლიპარტიამ.

იყიდება ბინები და საოფისე ფართები: ექსკლუზიური სახლი ვაკეში (სტუდქალაქში) არაჩვეულებრივი ხედით, დაცული ეზო და სადარბაზოთი, აგურის ტიხრებით, მაღალი ჭერით, მუდმივი ელმომარაგებით, გათბობისა და ცხელი წყლის სისტემით, „Ariston“-ის ფირმის ქვაბით, ალუმინის კარფანჯრის მინა-პაკეტით.

1 კვ. მეტრის ღირებულება 500 დოლარიდან, როგორც განვადებით, ისე, ერთიანი გადახდით. ტელ: 25-01-38, 899 55-23-55.

Paladi Palace
პალადი პალასი
პროექტორები და მშენებლობა წარმატებული ნაბიჯი ოქვენს ცხოვრებაში
ი. აბაშიძის 55. ტ. 25-01-38.





გარდაიცვალა საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი

დიმიტრი (ჯუნა) მიქაბაძე

რომლის ნაყოფიერმა, შემოქმედებითმა მოღვაწეობამ ქართული ხელოვნების ისტორიაში საკუთარი, წარუშლელი კვალი დატოვა. იგი უაღრესად ნიჭიერი პიროვნება იყო, სულ რამდენჯერმე გამოჩნდა ქართულ ფილმში და დაუვიწყარი სახეები შექმნა. დიდია მისი ღვაწლი ქართულ ხელოვნებაში. ჯუნა მიქაბაძე ეროვნულ ქანდაკებას ქმნიდა, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა პლასტიკურ აზროვნებას, რაც ჭეშმარიტი ქანდაკების ღირსებაა, ამავეს გადასცემდა და ასწავლიდა წლების მანძილზე მომავალ თაობებს. ის ქმედითი ხელოვანი იყო, რომელმაც ქვეყანას მრავალი მაღალმხატვრული ძეგლი დუტოვა — რუსთაველი, გალაკტიონი, იოანე პეტრიწი, მარი ბროსე, ეთიმე გურჯი, „მშეჭაბუა“ და მრავალი სხვა, რომლებიც ყოველთვის გაგვახსენებენ მოქანდაკის ღვაწლს, მის ლაღ ცხოვრებასა და შემოქმედებას, საუბედუროდ, ბოლო წლებში მისი ცხოვრება ტკივილებითა და წამებით სავსე აღმოჩნდა. ჯერ შვილის, შემდეგ კი საყვარელი მეგობრის, მეუღლის დაკარგვამ მძიმე და ტრაგიკული გახადა მისი ცხოვრება. იგი წავიდა ჩვენგან.

ქართველმა ხალხმა ჯუნას სახით უნიჭიერესი ხელოვანი დაკარგა.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმის წევრები და თანამშრომლები გულისტკივილით ეთხოვებიან შემოქმედს, მეგობარს და თანაუგრძნობენ ოჯახს.

მერაბ ბერაძენიშვილი.

გურამ გომართელი ოჯახით, ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი

ჯუნა მიქაბაძე.

გურამ ახვლედიანი, ილია ბარათაშვილი, გურამ გომართელი, გივი გუგუშვილი, ნოდარ მგალობლიშვილი, გივი მესხიშვილი, რეზო მხეიძე, ირაკლი ყორდანია, ჯუმბერ სანიკიძე, რამაზ ღამბაშიძე, გიზო ღვალაძე, გურამ ღოღობერიძე, თამაზ შილაკაძე, ზურაბ შოშიტაიშვილი, თამაზ ხუნჭუა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი

ჯუნა მიქაბაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გარდაცვლილი მეგობრების — ჯემალ ანჯაფარიძის, ბიძინა ბოკერიას, ბურაბ ბოკუჩავას, გურამ ქავთარაძის, დემნა ქარსელაძის, იურა შახოვის, გურამ ჭეიშვილის ოჯახები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯუნა მიქაბაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გოგუცა, მურმან გიორგაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯუნა მიქაბაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

თენგიზ მენთეშაშვილი, გურამ გაბუნია, გივი გაფელია, ჯიმი მიქელაძე, ნიკოლოზ ნეფედოვი, ავთანდილ საყვარელიძე, ოთარ ხაგიანელი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღირსული მამულიშვილის, ცნობილი ხელოვნისა და პიროვნების, უახლოესი მეგობრის

დიმიტრი (ჯუნა) მიქაბაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სულ რაღაც ერთი თვის წინათ თბილისის მეტროპოლიტენის გენერალური დირექტორის მოადგილედ დაინიშნა 30 წლის **ლევან ღლიღვაშვილი.**

მიუხედავად მცირე დროისა, მან შესძლო დაემახსოვრებინა თანამშრომლების უდიდესი სიყვარული და პატივისცემა.

16 მაისს დავით ღლიღვაშვილი ტრაგიკულად დაიღუპა.

თბილისის მეტროპოლიტენის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამთ შესანიშნავი პიროვნების გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

ფრიდონ თოდუა ოჯახით იუწყება

ციცო ლაგვილავა — სამუნაშვილის

გარდაცვალებას და გულწრფელად თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სახელმწიფო უმრუნველყოფის ფილიალი კრწანისის თანამშრომლები: თამაზ სანაძე, დალი ლიპარტელიანი, იზო კაცია, მაია პაკარაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ მთავარ ბუღალტერს გულიკო გორგოძეს

ღელის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ნინო, შვილები ლაურა, ბესიკი, სიძე ნიკო შანიძე, რძალი თინა აბაშიძე, შვილიშვილები ლევან და ნინო შანიძეები, გია კალაძე, შვილთაშვილი ლევან შარდიაშვილი, დისწული მამუკა სანაძე, ბიძაშვილები ჟუჟუნა, გულიკო, რენო კაკაბაძეები, დეიდაშვილი თორნიკე კოპალეიშვილი თავისი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი (ქორა) აბესარიონის-ძე კალაძე

პანაშვიდი 20, 21 V, 18 სთ. ნუცუნიძის ქ. № 40, II სად. I სართ. გამოსვენება 22 V, 15 სთ. საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობისა და სტამბის თანამშრომლები იუწყებიან

ილია გოგბაევას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შვილები ინგა, თემური, რძალი ლია, შვილიშვილები ოლიკო, გელა, სონიკო, გიორგი ბაბლუანები, გიორგი ოქრუაშვილი, და თამარა, ძმა შოთა, რძალი დალი ქვანიები, ბიძაშვილები ციალა და მარგალიტა ქვანიები, მაზლი ჭიჭიკო ბაბლუანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინო (ნუცა) ქვანია — ბაბლუანი

პანაშვიდი 20 V, 16 სთ. დაკრძალვა 21 V, 14 სთ. ხოშგარიას ქ. № 3 (ვერაზე).

გიხაროდენ!

თამარი ამერიკაში დაიბადა

ნინო ჭელიძემ და ვახტანგ მაქარაშვილმა ერთმანეთი ამერიკის შეერთებულ შტატებში, აიდაჰოს უნივერსიტეტში გაიცნეს, მათ ქართული ოჯახიც იქ შექმნეს. ამ დღეებში მათ თამრიკო შეეძინათ. პატარას შშობლები იქ სწავლის გასაგრძელებლად არიან ჩასულები. ამჟამად ნინო აიდაჰოს უნივერსიტეტში ფიზიკის სპეციალობით მაგისტრატურის კურსს ამთავრებს, ვახტანგი კი სწავლას თეორიული ფიზიკის განსრით დოქტურანტურაში აგრძელებს. მათთანაა ნინოს და ლალიც, რომელიც თეორიულ ფიზიკაში მაგისტრატურის კურსს გადის.

სიძე-ქალიშვილს უკვე დუკავშირდნენ და თამრიკოს დაბადება მიულოცეს ნინოს შშობლებმა ზაურ ჭელიძემ და ზაირა ყოლბაიამ, ვახტანგის ედედამ — ნესტან კუცუბიამ და პატარა თამრიკოს 14 წლის ბიძამ დათო ჭელიძემ, ნათესავებმა და ახლობლებმა. მათ პატარა გოგონას შშობლებს სწავლის წარმატებით დამთავრება და შინ მალე მშვიდობით დაბრუნება უსურვეს.

ნათელა ფაილოძე.

ცოტაც გავილიმოთ...

ამომარჩევლობა — საარჩევნო ბიულეტენებში იმათი პოვნა და შემოხაზვა, ვისაც შემდეგ მუდმივად ლანძღავენ.

* * *

ბიხომ სკოლაში დაიგვიანა და კლასში ატირებული შევიდა.

— რა დაგემართა? — ეკითხება მასწავლებელი.

— ქუჩაში ბანდიტი დამესხა თავს.

— ღმერთო ჩემო! მერე რამე დაგიშავა?

— საშინაო დავალება წამართვა...

* * *

— **მიდი** რა, დედიკოს „სნიკერსის“ ფული სთხოვე, — ეხვეწება მიხო უფროს ძმას.

— რაღა სულ მე ვთხოვო, ის ხომ შენი დედაც არის...

— რა თქმა უნდა, მაგრამ დედა შენ უფრო დიდი ხანია, გიცნობს...

* * *

— **აბა**, ბაშვებო, რომელი ჩიტი არ იშენებს ბუდეს? — კითხულობს მასწავლებელი.

— გუგული, მასწ, — წამოიძახებს მიხო.

— რატომ?

— ბუდე რად უნდა, საათში ზის.

* * *

სამი ბიჭი სკოლიდან ბრუნდება და იმაზე საუბრობს, რომლის მამაა ყველაზე სწრაფი.

— მამაჩემი ყველაზე სწრაფად დარბის. იგი მშვილდს გაისვრის და სამი ზნემდე ისარზე ადრე მირბის, — ამბობს ერთი.

— მამაჩემი მონადირეა და ტყვიას ასწრებს მიზნამდე მისვლას, — ტრაბახობს მეორე.

— არც ერთს არაფერი გესმით სიჩქარისა, — ამბობს მიხო — მამაჩემი სახელმწიფო მოხელეა, სამსახურს ექვის ნახევარზე ამთავრებს, მაგრამ ოთხზე უკვე სახლშია.

* * *

დიასახლისი ახალ ძიძას ღებულობს სამუშაოდ.

— ძველი სამუშაო ადგილიდან რად დაგითხოვეს? — ეკითხება.

— ერთხელ ბავშვის დაბანა დამავიწყდა.

— დედიკო, კარგი ქალი ყოფილა, ავიყვანოთ, რა, — ისმის პატარა მიხოს ძახილი.

* * *

რით განსხვავდება ინტელიგენტის სამუშაო ავტობუსიანელის სამუშაოსგან?

ინტელიგენტი ტუალეტიდან გამოსვლის შემდეგ იბანს ხელს, ავტობუსიანელი კი — ტუალეტში შესვლამდე.

ლარის კურსი

20 მაისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

ინგლისური გირვ.	1	3.3635	ლარი
აშშ დოლარი	1	1.8250	ლარი
ევრო	1	2.3105	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0653	ლარი.
აზერბაიჯანული მანათი	1000	0.3820	ლარი.
სომხური დრამი	100	0.4047	ლარი.
უკრაინული გრივნა	10	3.6427	ლარი.

ამინდი დღეს

20 მაისი	☼	☾
თბილისი	18°	12°
ბათუმი	24°	12°
თელავი	17°	11°
სოხუმი	22°	11°
ქუთაისი	27°	14°

თითქმის ნატურიდან

ქვები ბოსტანში

სამოცდაათს კარგა ხანია გადავაბიჯე. ოცდარვალარიანი პენსია მაქვს და აქლემის გამძლეობა. ამიგომ გამიკვირდა, როცა პოლიკლინიკიდან დამირეკეს და ასაკი შემახსენეს.

— თავი პატარა ბიჭი ხომ არ გგონიათ, — გაიცინა ყურმილში უცნობი ქალბატონის საყვედურნარევი ხმა, — თქვე კარგო ადამიანო, ერთხელ მაინც შემოგვიარეთ კლინიკაში, ნუთუ არაფერი გაწუხებთ?

— როგორ არა, უფულობა ძალიანაც მაწუხებს, მაგრამ...

— არა, უფულობას ჯერჯერობით ვერ ვმკურნალობთ, მაგრამ ანალიზებს კი, თუ მობრძანდებით, უფასოდ გაგიკეთებთ.

— როგორ, კაცო, მთლად უფასოდ? — განცვიფრდი.

— ჰო, მთავრობა ზრუნავს თქვენზე და ეს მანნი ხელიდან არ უნდა გაუშვათ.

— კეთილი, — ვუთხარი, — და პოლიკლინიკას მეორე დღესვე ადრიანად ვეწვიე.

— შარდი ხომ არ დაგავიწყდათ? — მკითხა ლაბორატორიაში მომუშავე თეთრ ხალათში გამოწყობილმა ქალბატონმა.

— როგორ გეკადრებათ! — შევიცხადე და ჯიბიდან სახეგარლიგრიანი ბოთლი დავაძრე.

— ხომ არ გისაუბმიათ?

— მინდოდა, მაგრამ სასუსნავი არაფერი აღმომაჩნდა.

— კიდევ კარგი, ბარემ სისხლის ანალიზსაც აგიღებთ.

მეორე დღეს პოლიკლინიკას ისევ მივაკითხე.

— აბა, როგორია ანალიზის პასუხი? — ვკითხე ფიქრებში წასულ ექიმს, რომელსაც სათვალე შუბლს ზემოთ, ჭაღარაზე აეგანა. მან სასწრაფოდ მოძებნა ჩემი გვარი, ქაღალდებს დაავარდა და უხალისოდ ჩაილაპარაკა:

— ისე რა, არც თუ სახარბიელო.

— სისხლის ანალიზი როგორიღაა?

— ცუდი, პროგრომბინი, შაქარი, ქოლესტერინი მომგებული გაქვთ, ეს კიდევ არაფერია, ვარდისფერი ბურთულებია ზედმეტი.

— რამდენით?

— 28 ცალით.

— ზუსტად იმდენით, რამდენი პენსიაც მაქვს. საინტერესოა, გამოდის, რომ მინისტრებს და სხვა მაღალჩინოსნებს ბურთულები 2-3 ათასით ექნებათ გაზრდილი.

— ვერ ვეტყვით, ვარაუდი არ გამიწევია. ისე, ვარდების რევოლუციის შემდეგ, ამ სახის ბურთულებმა საქართველოში ძალიან იბარტყა.

— ჩემი როგორ უნდა დავაზუსტო?

— ექოსკოპია უნდა გადაიღოო, ამის ზუსტ სურათს ღვიძლი და ნაღვლის ბუშტი იძლევა.

— ექოსკოპიაც უფასოა?

— არა, 10-15 ლარი მაინც დაგიჯდებათ.

— პენსია თუ მაგაში მივეცი, პური რიღათი ვჭამო?

— მაგის ანალიზზე ჩვენი პოლიკლინიკა არ მუშაობს.

რაღას ვიზამდი, ნახევარი თვე ვიშიმშილე და ექოსკოპია გადავიღე.

— ნაღვლის ბუშტში ქვები გაქვთ, — მითხრა უცხოურ აპარატზე მომუშავე ახალგაზრდამ.

— ქვები თუ კენჭები?

— კენჭები 10 წლის წინათ გექნებოდათ, ახლა უკვე ქვებია.

— რას გავს ეს, — გული მომივიდა — ბოლოსდაბოლოს ბუშტია თუ ბოსტანი?

— ბოსტანი რომ იყოს რა გიჭირდათ, შეაგროვებდით და გადაყრიდით, ახლა კი ოპერაციის გაკეთება მოგიწევთ!

— უჰ, მაგათი... შევუკურთხე პოლიკლინიკელებს, საღსალამათი კაცი ავადმყოფად არ მაქციეს? ეგენი რომ არა, ქვებსაც გადავრჩებოდი და კოსსერვის ქილებსაც.

— კოსსერვი საიდან მოიგანეთ? — გაკვირდა ექიმი.

— რა ვიცი, ჯერ კუჭის ანალიზი არ გამიკეთებია, ხომ შეიძლება იქ კიდევ კოსსერვის ქილები აღმომაჩნდეს?

— ნუ ნერვიულობთ, — დამამშვიდა მკურნალმა, — საოპერაციო თანხიდან ნახევარს სახელმწიფო გადაიხდის.

— მაგრამ მეორე ნახევარი საიდან-ღა გამოვიხრიკო?

— სპონსორი უნდა მოძებნოთ.

— ბაღრი პაგარკაცაშვილი ვერ დამეხმარება?

— არა მგონია, იგი ყველაფერს ყიდულობს და აღარაფერი დარჩებოდა. აი, ვინც ყველაფერს ყიდის...

ბენდუქიძე?

— ჰო, ამას წინათ შარვალიც გაუყიდია. მაგხელა შარვალში იცი, რა ფულს აიღებდა?

— მაგრამ ძუნწი რომ არის? ისევ ბუშს დავურეკავ, უბრალო კაცი ჩანს, თანაც საქართველოში ამდენი ქეიფისა და ცეკვის შემდეგ, არა მგონია, ერთი პაგარა ოპერაციის გამო თავი შეირცხვინოს.

ოთარ ხუციშვილი.

ცოტაც გავილიმოთ...



* * *

სამი ბიჭი სკოლიდან ბრუნდება და იმაზე საუბრობს, რომლის მამაა ყველაზე სწრაფი.

— მამაჩემი ყველაზე სწრაფად დარბის. იგი მშვილდს გაისვრის და სამი ზნემდე ისარზე ადრე მირბის, — ამბობს ერთი.

— მამაჩემი მონადირეა და ტყვიას ასწრებს მიზნამდე მისვლას, — ტრაბახობს მეორე.

— არც ერთს არაფერი გესმით სიჩქარისა, — ამბობს მიხო — მამაჩემი სახელმწიფო მოხელეა, სამსახურს ექვის ნახევარზე ამთავრებს, მაგრამ ოთხზე უკვე სახლშია.

* * *

დიასახლისი ახალ ძიძას ღებულობს სამუშაოდ.

— ძველი სამუშაო ადგილიდან რად დაგითხოვეს? — ეკითხება.

— ერთხელ ბავშვის დაბანა დამავიწყდა.

— დედიკო, კარგი ქალი ყოფილა, ავიყვანოთ, რა, — ისმის პატარა მიხოს ძახილი.

* * *

რით განსხვავდება ინტელიგენტის სამუშაო ავტობუსიანელის სამუშაოსგან?

ინტელიგენტი ტუალეტიდან გამოსვლის შემდეგ იბანს ხელს, ავტობუსიანელი კი — ტუალეტში შესვლამდე.

ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

საპატრულო სამსახური — 022;
გენერალური პროკურატურა — 99-74-10;
ფინანსთა სამინისტრო — 22-17-80; 22-09-24;
უსაგიციის სამინისტრო — 75-82-21;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო — 92-13-05;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 98-57-81;
ჯანდაცვის სამინისტრო — 94-34-98;
მსს სანებართვო განყოფილება — 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია — 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია — 23-56-73;
საქართველოს სანიგარიელი ზედამხედველობის ინსპექცია — 39-52-47;
თბილისის სანიგარიელი ზედამხედველობის ინსპექცია — 37-78-70;
შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური — 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი — 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება — 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში — 51-77-37.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი — „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ბონდო გულიაშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებებში, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყონ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიები ნუ შემოგვთავაზებენ.